საქ. მემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტია

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 1,250,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 50,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი
1 გვ. 250,000 მან. წინვარელი
4 „ 200,000
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 2,500,000 მან.
4 „ 2,000,000 „

№ 520 პარსკევი, ივლისის 13 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 50,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთ „ტრიბუნის“ კანტორისაგან

ივლისის 15-დან „ტრიბუნა“ ეღირება:

ცალკე ნომერი . . 75,000 მ.

## „ნორმალური“ მთავრობა.

პუანკარეს ნოტამ რუსეთის მიმართ ერთხელ კიდევ იხმარა მოძველებული ფრაზა. ნოტა გვეუბნება, რომ ბიზანტიაში დაკავებული გემები, რომელიც ვრანგელმა წაიყვანა, ეკუთვნის რუსეთს, მაგრამ იგი ეკუთნის ისეთ მთავრობას, რომელიც „ნორმალური“ წარმომადგენელი არის რუსეთის ხალხისა. საბჭოთა მთავრობა კი „არანორმალური“ მთავრობა ყოფილა. ამიტომ მასთან შეუძლებელია ურთიერთობა და საერთაშორისო სამართლის ნორმების გავრცელება მისი მოქმედების სფეროში.

ეს ფრაზა „ნორმალური“ მთავრობისა მეტად მოძველდა. დრო იყო, როდესაც არა თუ ნორმალურად არამედ ყაჩაღებად სთვლიდენ კრემლის პოლიტიკურ წრეებს, რომელიც ოქტომბრის რევოლიუციამ წარმოშვა. დღეს ამ წრეებთან ყველა სახელმწიფოს აქვს რაიმე ურთიერთობა. ზოგი მათგანი საბჭოთა ქვეყნებს იურიუდიულად სცნობს, ზოგი ფაქტიურად, ზოგს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა აქვს მასთან.

ეს მდგომარეობა შედეგია საბჭოთა ქვეყნების მშრომელთა ბრძოლისა და იმ ეკონომიური ბაზის, რომელიც აქვს საბჭოთა ქვეყნებს.

საფრანგეთი ყოველთვის უკიდურესი შეურიგებელი იყო საბჭოთა ქვეყნებისა. იგი სულ ვალებზე გაიძახოდა. გენუაშიც მოუსვენრობას იჩენდა საფრანგეთის დელეგაცია. მაშინ რუსეთმა თანხმობა განაცხადა ომამდე აღებული ვალების გადახდის შესახებ, თუ ანაზღაურებული იქნებოდა ბლოკადისა და ინტერვეციის მიერ მიყენებული ზარალი რუსეთისადმი. ცხადია კაპიტალისტური ქვეყნების ბუხგალტერია ამ ანგარიშს ვერ დაეთანხმებოდა, რადგან ვალის აღების მაგივრად თვით დავალიანდებოდა. დღეს საფრანგეთის ერთ-ერთი არგუმენტი ისევ ვალების საკითხი გამხდარა და იგი ძველ თამასუქებს აშხეურებს.

ცხადია, საფრანგეთის ნოტას არ შეუძლია რაიმე დიდი პოლიტიკური აქტის გამოწვევა. მიუხედავად საფრანგეთის გაძლიერებისა, რომელსაც ხელს უწყობდა ამერიკაც, როგორც ინგლისის საწინააღმდეგო ძალას, დღეს იგი მაინც არ არის სანუგეშო პირობებში. გენუაში საფრანგეთის გამარჯვება მასში გამოიხატა, რომ კონფერენცია უშედეგოთ დასრულდა. რურშიაც საფრანგეთის გამარჯვებას ის შედეგი მოჰყვა, რომ მას უხდება ახალ-ახალი კრედიტის გახსნა ოკუპაციის ხარჯების დასაფარავად. მტაცებელს რურში მეტი დაეხარჯა, ვიდრე გატაცებულის ფასეულობა წარმოადგენს.

ლოზანაშიაც თავის ზრახვები საფრანგეთმა ვერ განახორციელა. მისი დაჟინებითი მოთხოვნა ვალების ანაზღაურებისა ოქროს ვალიუტით არ იქნა მიღებული და დიდი კომპრომისის დაშვება შეიქნა საჭირო.

საფრანგეთი, მიუხედავად შეურიგებელი პოზიციისა საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ, იძულებულია ამ „არა ნორმალურ“ მთავრობასთან მაინც ილაპარაკოს და სავაჭრო ურთიერთობის გამტკიცება შეეცადოს. ამის ილიუსტრაციაა საფრანგეთის სავაჭრო დელეგაციის ჩამოსვლა რუსეთში, რომელიც თითონ აცხადებს, რომ სურს მტკიცე სავაჭრო ურთიერთობის დამყარება საფრანგეთ-რუსეთს შორის.

ცხადია, მუშათა კლასმა კარგად იცის ფასი პუანკარეს ნოტის. ისიც კარგად იცის, თუ რომელი მთავრობაა „ნორმალური“: მოსკოვის თუ პარიზის.

საბჭოთა ქვეყნების სიმტკიცე დამყარებულია ამავე ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიურ აღორძინებაზედ. აღორძინების პროცესმა მრავალი გაუტეხელი და შეურიგებელი მტერი შეარიგა საბჭოთა ქვეყნებს. უნდა ვიფიქროთ, რომ ისტორიის წინააღმდეგ ამხედრებული საფრანგეთის „ნორმალური“ მთავრობა ვერ შესძლებს თავის „კანონიერი“ ზრახვების განალდებას და იგი დაიმსხვრევა მუშათა კლასის გაკლდევებულ ენერგიის დაპირისპირებით.

## სხვა და სხვა

**რუსეთ-გერმანიის სატრანსპორტო-სავაჭრო საზოგადოება.**

„ინდუსტრი უნდ ხანდელას ცეიტუნგი“ სწერს: მიმდინარე წლის 9 ივნისს მოსკოვში ადგილი ქონდა რუსეთ-გერმანიის სატრანზიტო სავაჭრო საზოგადოების დამფუძნებელ კრებას. ამ საზოგადოების დამაარსებელნი არიან: რუსეთის მხრივ—საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, გერმანიის მხრივ—რეიხსტერეუხონდელშაფთი, რობერტ ბენკაუზის ფირმა, გამბურგი, გერმანიის აღმოსავლეთ—ბანკი და იურის ბერგერი.

საზოგადოების მიზანია გერმანიისა და სხვა ქვეყნებიდან ტრანზიტით სპარსეთში საქონლის გატანა: პეტროგრადის პორტიდან—მარინის სისტემით—ვოლგით და კასპიის ზღვით.

დიდ დაბრკოლებას ის გარემოება იწვევს, რომ ასეთ ტრანზიტისათვის ისეთი ხომალდებია საჭირო, რომ მოგზაურობა შეეძლოს როგორც ზღვებში, ისე მდინარეებშიდაც. მომხდარმა პირველ ცდამ კარგათ ჩაიარა: სპარსეთში საქონლით ჩავიდა გემი „პიონერი“ გამბურგიდან გამოსული.

ამ დღეებში გადის მეორე გემი „ენზელი“ შვეციაში აშენებული და შემდეგ ხსენებულ საზოგადოების მიერ შეძენილი. შეკვეთილია აგრეთვე ახალი ხომალდები.

ასეთ ტრანზიტს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს უფრო იაფი ჯდება, ვიდრე აქამდის არსებული სატრანზიტო გზები.

**საფრანგეთის ზარალი, მიყენებული რურის ოლქის ოკუპაციით.**

თუმცა ყველასათვის აშკარაა რურის ოლქის ოკუპაციის არა ხელსაყრელი ეკონომიური შედეგები, პუანკარემ მაინც საჭიროდ სცნო ისე გამოეხატა მდგომარეობა, რომ მისთვის უარი არ ეთქვათ ოკუპაციის გასაგრძელებლად გამოთხოვილ 232 მილიონ ფრანკის კრედიტის გახსნაში.

თანახმად მისი განცხადებისა ოკკუპაციის სამხედრო ხარჯებმა პირველ მაისამდი მიაღწიეს 61.000.000 ფრ. ხოლო სამოქალაქო ხარჯებმა 2.650.000 ფრ. შემოსავალი კი გამოიხატება 36.000.000 ფრ. ნაღდ ფულად და აგრეთვე შემოსულია 36.680.000 ფრ. ღირებული კოკსი და ნახშირი.

პუანკარემ ამ რიცხვებში არ შეიტანა რკინის გზის დეფიციტი, რომელიც დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისიის გამოანგარიშებით, 50 000 000 ფრანკს შეადგენს.

ამდაგვარად თვით მთავრობის ჩვენებით რურის ოლქის ოკუპაციით გამოწვეული საფრანგეთის ზარალი უდრის 40.000 000 ფრანკზე მეტს.

ამასთანავე თუ მივიღებთ მხედველობაში საფრანგეთის არა პირდაპირ ზარალს, მიყენებულს რურის ოლქის ოკუპაციით სახელდობრ: ფრანკის კურსის დაცემას, რკინის და ფოლადის წარმოების შეჩერებას დავრწმუნდებით, რომ ზარალი აღწევს ას მილიონებს:

ლ. კ.

— **ლოიდ-ჯორჯის ახალი წიგნი.** შემოდგომისათვის ლოიდ ჯორჯსა განზრახვა აქვს გამოუშვას წიგნი შემდეგი სათაურით: „საით მივდივართ“. ლოიდ-ჯორჯი ამ წიგნში თავისებური პათოსით ახასიათებს გამოუვალ ჩიხს, რომელშიც ამ ჟამათ ევროპა იმყოფება; ის აღნიშნავს იმ საშინელ საფრთხეს მთელი ევროპიული კულტურისათვის, თუ კი არსებული პოლიტიკურ-ეკონომიური კრიზისი დროით არ იქნება დაძლეული მშვიდობიანი საშუალებებით.

— **სარრა ბერნარის ავეჯის გაყიდვა.** პარიზში, georges petif ის გალერეაში ამ ჟამათ იყიდება სარრა ბერნარის სამხატვრო კოლექტივები და ავეჯი. ამ საჯარო გამოფენას მთელი პარიზი მოაწყდა. გამოფენის მესამე დღეს პირველ რიგში, თეატრალურ ძვირფასეულობას ყიდდენ. აქ იყო დიადიდემები, ქამრები ბეჭდები, სამაჯურები და სხვა ძვირფასი ნივთები. ეს ძვირფასეულობა მეტად დიდ ფასებში გაიყიდა. აუქციონის გამოცდილი დირექტორი მეტად მაღლა სწევდა განწყობილებას. შემდეგ დღეებში ყიდდენ ხელოვნების ნაწარმოებთ, კლერინის ურიცხვ აკვარელებს და იმის მიერ დახატულ სარრას პორტრეტებს; ყიდდენ აგრეთვე სურათებს გუსტავ დორესას, ფანტინ-ლატურისა, გავარნისა და დეტაილისას და სარას სამ სკულპტურას. პირველმა დღემ მისცა—93 000 ფრანკი; მეორემ—89.650. სამი დღის შემოსავალი—300.000 უდრის.

— **იმმიგრაცია შეერთებულ შტატებში.** შეერთებული შტატების ახალი იმმიგრაციული „ქვოტის“ შემოღების დღეს ნიუიორკის პორტში ელოდენ 25 გემზე მეტს ათიათას ემიგრანტებით, რომლებიც ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეებიდან მიემართებიან. იმმიგრაციული სადგურები, ამ შემთხვევის გამო, შესახვედრ მზადებაში იყვენ.

## ახალი ამბები

— **დღეს, 13 ივლისს საღამოს 7 ნახ.** საათზე მთავარ არქივის შენობაში ლენინის ყოფ. ოლღას ქ. № 48 შესდგება საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების კრება, რომელზედაც სარგის კაკაბაძე წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: ძველი ქართული საისტორიო მწერლობა მოქცევაი ქართლისაი, ლეონტი მროველი ჯუანშერი, ქართულ საისტორიო მწერლობის დაწყების საკითხთან დაკავშირებით. დასწრება გარეშეთაც შეუძლიათ.

**დახმარება უმუშევრებს.** წითელი ჯვრის ც. კომიტეტმა გადასწყვიტა გაუწიოს დახმარება უმუშევრებს, რომლებიც მიემგზავრებიან სამშობლოში.

— **გორის აღდგენისათვის.** ქალ. გორის და მის რაიონების აღდგენის მთავარი კომიტეტი კომისიის ფონდის გასაძლიერებლად ივლისის 16-ს მართავს „დაისის“ ბაღში დიდ საღამო-სეირნობას, ლატარია-ალეგრით, კინემატოგრაფით და კაბარეთი.

— **გამგზავრება სომხეთში.** წევრები საუწყებათაშორისო კომისიისა ა. კ. ფედერაციაში ერთიან სას. სამ. გადასახადის ჩამტარებელი, ამხ. დობროხოტოვი და როლკე გაემგზავრნენ ერივანში ადგილობრივად გამოსარკვევად იმ საკითხებისა, რომლებიც დაკავშირებულია სომხეთში ერთიან სას. სამ. გადასახადის ჩატარებასთან.

— **წყალზე გადასახადისაგან ინვალიდების განთავისუფლება.** კომუნალურ განყოფილებამ შეიმუშავა სია ინვალიდებისა, რომლებიც განთავისუფლდებიან წყალზე გადასახადისაგან.

## გიორგი სიხარულიძე

(ბიოგრაფიული ცნობები *)

გ. სიხარულიძის წასული ბევრმა არ იცის. ამისათვის განსვენებულის ხსოვნის აღსანიშნავად მოგვყავს მისი მოკლე ბიოგრაფია. განსვენებული გიორგი სიხარულიძე დაიბადა სოფელ შუბანში, ერიკეცის საზოგადოებისა, ოზურგეთის მაზრისა 1881 წ. როდესაც ის გახდა 7 წლის. წაიყვანეს ქ. ხონში მამიდასთან, სადაც მას ასწავლეს წერა-კითხვა. აქედან ის განაწესეს ქუთაისის მაშინდელ პროგიმნაზიაში, სადაც მან დაჰყო სრული ორი წელიწადი. აქედან ის მის ბიძას, იორდანე სიხირულიძეს გადაჰყავს ქ. ტფილისში მაშინდელ სათავადაზნაურო გიმნაზიაში. რა თქმა უნდა ვინაიდან გიმნაზია „სათავად-აზნაურო“ იყო, მისი იქ მიღება ძალიან გასჭირდა, მაგრამ იორდანეს ჩხუბმა და დავიდარაბამ გასჭრა და გიმნაზიის მაშინდელმა ადმინისტრაციამ მიიღო „გლეხის“ შვილი თავის სკოლაში; ეს „მოწყალება“ გაიღეს იმიტომ, რომ თვით იორდანე სიხარულიძეს, ბიძას განსვენებულისას დიდი დავალება ჰქონდა მაშინდელ თავად აზნაურობაზე და მისმა დავალიბამ აიძულა ისინი მიეღოთ გიორგი სასწავლებელში. აქ მას დიდი დახმარება გაუწია მაშინდელმა გიმნაზიის გამგემ, ექვთიმე თაყაიშვილმა. ასე ამ რიგად გიორგი შედის მეორე კლასში სათავად-აზნაურო გიმნაზიისა. ის ყველა საგნებს კარგად სწავლობს, ხოლო ძალიანი უჭირს რუსული ენა, ამ დროს სათავად-აზნაურო გიმნაზია ადგება ერთგვარ პროგრესის გზას, აარსებენ მუსიკას, სიმღერას, სცენას და სხვა; ამ დროს გიორგი უკვე პანსიონშია. გადადის თუ არა მეხუთე კლასში, ის იწყებს ფიქრს საზოგადო მოღვაწეობაზედ და ხელს კიდებს მას. გიმნაზიის პანსიონში აარსებენ ყველა კლასების ჯგუფებს, იმართება კრებები, მსჯელობა, იმართება დელეგატთა ყრილობები და ყველა ამ საპარლამენტო ყრილობების თავმჯდომარედ ირჩევენ განსვენებულ გიორგი სიხარულიძეს. გიმნაზიის გამგე. ექვთიმე თაყაიშვილი პირველად ვითომ ვერ ამჩნევდა ამ ამბებს და თვალს არიდებდა მათ, რათა მიეცა ახალგაზდობისათვის მუშაობის საშუალება, მაგრამ რაკი ეს მოძრაობა ფართე ხასიათს ღებულობს, იწყება შიში მოწაფეებიც ამას აჩნევენ და იწყებენ უფრო ფრთხილად მუშაობას. ამ დროს სასულიერო სემინარიაში რაღაც ფაცა-ფუცია; იქ იწყება ორგანიზაციული მუშაობა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, გიორგი ამას შეიტყობს თუ არა, კავშირს იჭერს მათთან.

თავისი მოქმედება გიორგის გააქვს სკოლის გარედ და იწყებს სხვა და სხვა ჯგუფებში მუშაობას. სამსონ ფირცხალავას საშუალებით ის ეცნობა ვლადიმერ ლორთქიფანიძეს, მაშინდელ „ცნობის ფურცლის“ თანამშრომელს. ამ მოვლენას ლორთქიფანიძე სიხარულით აღნიშნავს და აღუთქვამს მას იდეურ ხელმძღვანელობას და დახმარებას. მუშაობა გიორგის უკვე ყალიბდება ნამდვილ სოციალისტურ შემეცნებებში და ის თვით და სხვებსაც ასისხლხორცებს მას.

ამ გამუდმებულ მუშაობასთან ის განაგრძობს სწავლა-მეცადინეობასაც და დიდის პატივისცემით სარგებლობს მასწავლებლებთა შორის. ის უკვე უკანასკნელ კლასშია და ათავებს გიმნაზიას, მაგრამ ამ დროს ეს გიმნაზია არ სარგებლობს სახელმწიფო გიმნაზიების უფლებით და აქ გათავებულ ანუ კურს დამთავრებულებს უხდებათ სიმწიფის ატესტატზე ეგზამენის ჩაბარება სახელმწიფო გიმნაზიებში. გიორგის ურჩევენ ბაქოში წასვლას, სადაც ის კერძოთ იწყებს მეცადინეობას ეგზამენებზე დაშვებამდე. ასე გასინჯეთ, ის იმ საგანში, რომელშიდაც მუდამ მოიკოჭლებდა კარგად აბარებს ეგზამენს და იჭრება იმ საგანში. რომელშიდაც მუდამ პირველ მოწაფედ ითვლებოდა. აქ მეტი გაჩერების დრო აღარ არის. გიორგი ბრუნდება ისევ ტფილისში ქართულ გიმნაზიაში, სადაც მას აძლევენ გათავების მოწმობას. ბიძა იორდანე ამხნევებს მას და ურჩევს წავიდეს საზღვარ გარეთ სწავლის დასამთავრებლად. გიორგი მიემგზავრება ბელგიაში, ქალაქ ბრიუსელში. გამომშვიდობებისას ამხანაგები უსაყვედურებდნენ მას: „რა დროს წასვლაა, აქ რევოლიუცია იწყება და შენ კი საზღვარ გარეთ მიდიხარ დასამალავათო“. ამაზე გიორგი უპასუხებს: „ჯერ რევოლიუციას ვერ ვხედავ, არ მინდა სწავლას მოვცდე და თუ კი შეიარაღებული აჯანყება დაიწყება დამეთანხმეთ მეც არ დავაყოვნებ და აქ გავჩნდებიო“. როგორც თქვენ დაინახავთ ქვევით, ეს მართლაც ასე მოხდა და განსვენებულმა გიორგიმ გმირულად შეასრულა თავისი საქმე. ქალაქ ბრიუსელში გიორგი შედის უმაღლეს სასწავლებელში ეკონომიური ნაწილზე და იწყებს სწავლის გაგრძელებას. სულ რაღაც ნახევარ წელიწადს არ გაუვლია (ბელგიაში ის წავიდა 1904 წ.) და გებულობს „ცნობის ფურცლის“ საშვალებით აშკარა მოძრაობის ნიშნებს, იბეჭდება გაზეთებში ამ დროს გაბედული წერილები და სხვა. უკანასკნელად ის ამავე გაზეთის საშუალებით ტყობილობს, რომ ტფილისში ბომბებს გრიალი გააქვს, რუსეთში აჯანყება იწყება და ამ აჯანყებაში საქართველოც თვალსაჩინო როლს თამაშობს. მას ეს ამბები მოსვენებას არ აძლევენ და მეცადინეობაზე ხელს აღებინებენ. ის მოიცვა სულ ამ რევოლიუციაზე და სამშობლოს განთავისუფლებაზე ფიქრმა. მაგრამ მოგეხსენებათ ბელგიაში და განსაკუთრებით ბრიუსელში მაშინ არ მოიძებნება ბევრი ქართველი, რომლებთანაც შესაძლებელი ყოფილიყო თათბირი და ორგანიზაციული მუშაობა. ამასთანავე გიორგის არ ავიწყდება სიტყვა დაპირება ტფილელ ამხანაგებზე, რომ ის აჯანყებისას „აქვე გაჩნდება“ და ამის გამო მიეცემა წარმტაც ოცნებას. მას უკვე გაგებული აქვს, რომ საქართველოს სოც.-ფედერალისტთა პარტიამ აჯანყების ხელის შესაწყობად და მისი გასამარჯვებლად ევროპიდან იარალი უნდა გაიტანოს საქართველოში, რაც დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ამ სიძნელესთან შესაბრძოლებლად გიორგიმ გადაწყვიტა, რათა მას მიეღო მონაწილეობა პირადად იარაღის გატანაში. ის მიეშურება თავისი მეგობართან, რომელსაც გიორგი თვით „ქართლელს“ უწოდეს და მართავს მასთან მოლაპარაკებას, აქ ირკვევა, რომ მთავარი ხელმძღვანელი ამ იარაღის გატანისა არის ნეტარხსენებული გიორგი დეკანოზიშვილი. გიორგი სიხარულიძე და „ქართლელი“ სდებენ პირობას, რათა მათ მიიღონ მონაწილეობა ამ საქმის მოგვარებაში და შეასრულონ ის რათაც უნდა დაჯდეს. „ქართლელი“ წერილს უგზავნის გიორგი დეკანოზიშვილს პარიზში და ატყობინებს თავიანთი სურვილებს და მტკიცე გადაწყვეტილებას.—ერთი კვირის შემდეგ წერილი მოსდით დეკანოზიშვილიდან, რომ ის ორ სამ დღეში თვით ჩამოვა ბრიუ-

*) წაკითხულია ქ. სამტრედიაში მისი გარდაცვალების მეორმოცე დღეს სამოქალაქო პანაშვიდზედ.

სელ'ში და ორთავეს ინახულებს. ამ ამბის გაგებაზე გიორგი სიხარულით ფეხზე არ დგას და მოუთმენლად ელოდება იმ დროს, როდესაც თვალით იხილავს ამ დიდებულ' და გმირ ადამიანს. მართლაც გიორგი დეკანოზიშვილი ბრიუსელში ჩამოდის და ნახულობს ორივე ამხანაგებს. ის უამბობს მათ, რომ თოფები და სხვა იარაღი შვეიცარიიდან ამსტერდამში გადაიგზავნა დი უკვე იტვირთება გემი „სირიუსი“. გიორგი დეკანოზიშვილი გამოსთქვამს დიდ სიამოვნებას და ალტაცებას, რომ მან კიდევ ორი დამხმარე ამხანაგი იშოვნა ამ საქმეში. მაგრამ ის ეუბნება განსვენებულ გიორგის და მისი ამხანაგს „ქართლელს“, რომ ჯერ არ დამდგარა დრო, როცა ისინი საჭირონი იქნებიან და თუ მათ მიიღონ მისგან ცნობა დაუყონებლივ მიეშველონ.

საქმე იმაშია, რომ იარაღი ამსტერდამში უნდა გაეტანათ, ე. ი. გოლანდიაში, რათა ის აცდენოდა ფუსფუსა ჯაშუშების თვალებს, რომლებიც მაშინ შვეიცარიაში და საფრანგეთში იყვნენ რუსეთიდან გამგზავრებულნი თვითმპყრობელობის სამწყესავად და იშვიათი იყო შემთხვევა მათ მახვილ სმენას და ყნოსვას ვინმე ასცდენოდა. ამსტერდამიდან კი იარაღის გამოგზავნა რამოდენიმედ მაინც კვალს უბნევდა „სიშჩიკებს“. დეკანოზიშვილი პარიზში გაბრუნდა. გიორგი და „ქართლელი“ ბრიუსელში დარჩნენ და შეუდგნენ მზადებას სამშობლოში წასასვლელად, მაგრამ გიორგის მწუხარებას შეიცავდა ის, რომ დეკანოზიშვილიდან გემის დატვირთვის შესახებ არაფერი ამბავი იყო. წერილს წერილზე გზავნიდნენ პარიზში; უცადეს ერთ თვემდე, მაგრამ დეკანოზიშვილიდან არავითარი პასუხი არ იყო.

აი გიორგიმაც მიიღო წერილი, მაგრამ არა სასიამოვნო, დეკანოზიშვილი სწერს მათ: „მეგობრებო, ძალიან გაჭირვებული ვარ და მიშველეთ, თქვენი შველა ეხლა არის საჭირო, წერილის მიღებისთანავე პარიზში გაჩნდით“ ამ წერილმა დიდ საგონებელში ჩააგდო ორივე მეგობარი. მათ იმ წამსვე გადასწყვიტეს პარიზში წასვლა და თავისი ნივთების ჩალაგებას შეუდგნენ. ექვსი საათის შემდეგ ამხანაგები უკვე პარიზში იყვნენ გიორგი დეკანოზიშვილის ბინაზე... საქმე ძალიან ცუდად გვაქვს“, ეუბნება გიორგის დეკანოზიშვილი, ყველაფერი ჩინებულათ მოვაწყვეთ, გემი საკუთრად შევიძინეთ ერთ სავაჭრო საზოგადოებიდან 70,000 ფრანკად, 8,500 თოფი და 2,500,000 პატრონა მატარებლით შვეიცარიიდან ამსტერდამში მივიტანეთ, იქ გემი დავტვირთეთ, ფულიც საკმაო გვქონდა საქმის გასაძღოლად; გემს ერთი ჩვენი ამხანაგი გავაყოლეთ და ამსტერდამიდან საქართველოსაკენ გავისტუმრეთ; გემს მშვიდობიანათ უმოგზაურნია გიბრალტარის სრუტეემდი, მაგრამ იქ დაწყევლილ ჯაშუშებს შეუმჩნევიათ და მისი თვალიერება დაუწყიათ, კაპიტანი და რამოდენიმე მატროსები შეშინებულან მით უფრო, რომ გაზეთებში დაიბეჭდა ცნობა, რომ გემი „სირიუსი“ მგონი იარაღით დატვირთა და ამსტერდამიდან ფილლიანდიაში წავიდაო“. გიბრალტარიდან კაპიტანს გემი მარსელში მიუყვანია, იქ თავისი შეშინებული მატროსებით ფული წაუღიათ და მიმალულან; ეხლა გემი მარსელში არის გაჩერებული. ფულიც არ გვაქვს ეხლა და საიდან მოუაროთ საქმეს თავი არ ვიცი და აი ეხლა არის თქვენი შველა საჭირო დაამთავრა დეკანოზიშვილმა.

ყველანი საგონებელში ჩავარდნენ. ნაშუადღევისათვის მოიწვიეს სხვა ამხანაგებიც, რათა საქმე სასწრაფოთ გადაეწყვიტათ. კრება შესდგა, მაგრამ კრებაზე დიდხანს არავინ ხმას არ იღებდა ყველა დარდს მისცემოდა. აქ განსვენებულმა გიორგიმ მოიკრიბა ძალა და გამბედაობა და დაარღვია სიჩუმე. „პირადათ მე ბევრი ვიფიქრე ამ საკითხზე ამბობს გიორგი, მაგრამ ჯერ არასფრის თქმა არ შემიძლია, არიან თუ არა ქალაქში ჩვენი თანამემამულენი და არის თუ არა მათ შორის შეძლებულთაგანი; მე არ მგონია ჩემგან და ჩემისთანეებისაგან მოელოდეთ რაიმე გეგმის მოცემას, მე მგონია გეგმის მოცემა ადგილობრივ ამხანაგების საქმეა და უმთავრესად კი გიორგი დეკანოზიშვილის, მოგვეცით გეგმა და მე პირადად მზათა ვართ გინდ ჩემი ყოფნა არ ყოფნა საშიშ მდგომარეობაში ვარდებოდეს, შეუდგე მის შესრულებას“.

ეს განცხადება დეკანოზიშვილს მეტის-მეტად ესიამოვნა და მან განაცხადა, რომ აქ არის ერთი ჩვენი თანამემამულე იკსი, მდიდარიც, მაგრამ მე არ მგონია, რომ მან რაიმე ნებაყოფლობით მოგვცესო“.

„მე მზათა ვარ, ეუბნება გიორგი, თუ საჭირო იქნება, ძალა ვიხმარო მასზე და ფული გამოვართვაო“, „მეც მზად ვარ“, მიუბრუნდება გიორგის იქვე მყოფი თუში და ეუბნება: „მეც თქვენ გამოგყვებით“.

ეს გადაწყვეტილება სისრულეში იქმნა მოყვანილი: გიორგი და თუში წავიდნენ ამ შეძლებული ქართველის საძებრად, მას უკან გაჰყვა „ქართლელიც“. მოსძებნეს ამ მდიდარი კაცის ბინა, მაგრამ ის დაემალა მათ. არ მიიღო სტუმრები. შემდეგ შეგზავნეს „ქართლელი“; რომელიც გიორგისა და თუშს გარედ უცდიდა და შეატანეს მუქარის წერილი და თან დააბარეს სიტყვიერად, რომ ასეთი და ასეთი დიდი საქმისთვის ვართ მოსულნი და მივცილეთო, თორემ იმუქრებოდნენ მდიდარმა კაცმა აღუთქვა ფულის მიცემა, მაგრამ მათ ფული არ წამოიღეს და მეორე დღეს გაგზავნეს თვით გიორგი დეკანოზიშვილი, რომელიც კარგად იცნობდა მას. მდიდარს 25,000 მან. ფული გადაეცა გიორგისთვის. საქმე გაიჩარხა. გიორგი და ერთი მისი ამხანაგი „სირიუსს“ უნდა გამოყოლოდნენ საქართველოში როგორც ვითომდა მატროსები ან ღარიბი მოგზაურები.

(გაგრძელება იქნება)

# საუბარი გლეხთან

(დასასრული)

ასეთსავე ნაყოფიერ შედეგებს მიაღწიეს კრასნოუფიმის რეალ გიმნაზიაში, მეტადრე სამეურნეო იარაღების კეთების საქმეში და ევროპისა და ამერიკის ბევრს ასეთ სასწავლებლებში. *)

აი ისიც, თუ როგორი სწავლით და მეთოდით აღწევდნენ ასეთ შედეგებს: ზეპირად დასწავლებას არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდნენ, თვით-მომქმედ კვლევა-ძიებას კი აქეზებდნენ ყოველი საშუალებით.

სამეცნიერო გაკვეთილის კლასში განმარტების უმალ, ახლა სახელოსნოში თუ ფერმაში ანუ ლაბორატორიაში ასრულებდნენ. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ უმაღლეს გეომეტრიას, როგორც საშუალებას განევითარებინათ მოსწავლეებში განსახიერების ნიჭი (ფანტაზია) და გონების სიმახვილე, როგორც დასაბამი აღმოჩენათა და გამოგონებათა უნარის განვითარებისა...

ხელოსნობის სწავლებაც სულ სხვაგვარად სწარმოებდა აქ: მოსწავლეს მაშინვე არ აყენებდნენ ერთი რომელიმე ხელობის საფუძვლიანად შესასწავლად ლუკმა პურის ადვილად საშოვნელად, არამედ ასწავლიდნენ ჯერ სისტემატიურად საზოგადოთ ტეხნიკას ეგრედ-წოდებულის დელავოსის სისტემით.

ხაზვა ითვლებოდა პირველ საფეხურად ამ სწავლისა. შემდეგ მოსწავლე გადაჰყავდათ სადურგლო და სასტოლიარო განყოფილებაში, როგორც პირველ დასაბამში ყოველგვარ წარმოებისა, პირველ ყოვლისა აქ ასწავლიდნენ საფუძველს ყოველი ხელოსნობისას—როგორ გააკეთონ რანდით ხის კუბი, პრიზმა და ცილინდრი. შემდეგ ასწავლიდნენ ყველა ცნობილ საშუალებას „ხის ნაჭერთა შეერთებისას“, ერთი სიტყვით, ასწავლიდნენ სადურგლო საქმის პირველ დასაბამთ, ასე ვსთქვათ, მის ფილოსოფიას. ამ მიზნის მისაღწევად სკოლა არ ზოგავდა არავითარ ძალას და საშუალებას.

აქედან მოსწავლე ახლა სახარატოში გადაჰყავდათ, სადაც ასწავლიდნენ მანქანათა იმ ნაწილების გამოჩარხვას, რომლებიც ახლა ლითონებიდან უნდა ჩამოესხათ და მხოლოდ ამის შემდეგ გადაჰყავდათ სამჭედლოში და საზეინკლოში.

ასეთი იყო დელავოსის სისტემა. ამერიკაში ეს სისტემა ფართოდ არის გამოყენებული მრავალ სასწავლებელში, მეტადრე [illegible] თვით-მოქმედი მანქანების, [illegible] ამავე სისტემით ასწავლიან [illegible], ფიზიკას, ქიმიას და სხვა, ე. ი. ცდილობენ აამოქმედონ ჭკვა-გონება ხელების მოქმედებით, ფიზიკას სწავლობენ საფიზიკო იარაღების კეთებით, გეოგრაფიას — რუქების და გეგმების ხატვით ღია ჰაერზე და სხვა.

მოსკოვის ტეხნიკური სასწავლებელი, რასაკვირველია, იდეალი არ არის ჩვენთვის. მაგრამ იგი და მისთანა სხვა მრავალი სკოლა ევროპასა და ამერიკაში აშკარა მაჩვენებელია იმისა, თუ სად და როგორ უნდა მოხდეს ასეთი გაერთიანება ჰუმანიური სწავლისა ტეხნიკურთან.

მოსკოვისა და სხვა მისგვარი სასწავლებლები გვასწავლიან ჩვენ იმასაც, თუ როგორ ფართოდ უნდა ვუყურებდეთ ჩვენ ტეხნიკურ სწავლა-განათლებას და არ ვკმაყოფილდებოდეთ მარტო ამა თუ იმ ერთი რომელიმე ხელოსნობის შესწავლით, როგორც ეს ძველად იცოდნენ და ბევრგან ახლაც იციან: მიუყვანდნენ ხარაზს თუ ფეიქარს ათიოდე წლის ბიჭს და ეტყოდნენ: იმსახურე და კალდ აქციეო, ე. ი. შენი ხელობა ასწავლეო!..

უმთავრესი ნაკლი დღევანდელი სწავლა-განათლებისა და სასწავლებლისა არის: უბრალოდ დაკარგვა იმ ძვირფასი დროსი, რომელსაც ვერაფრით დაიბრუნებ შემდეგში, როცა, მაგალითად, ასწავლი იმას, რაც სრულიად არაფერშია იგი გამოსადეგი. არც ბავშვების დროს უნდა ვფლანგავდეთ ბედოვლათურათ და ამათს ძალ-ღონესაც უნდა ვიყენებდეთ ჩვენი მიზნებისთვის საბავშვო ბაღებში და პირველ დაწყებით სკოლებში, რომ მით 14—15 წლოვანობამდე ბავშვებს უკვე სავსებით ჰქონდეთ შეთვისებული ყოველი დასაბამი სამეცნიერო სწავლა-განათლებისა და ამის შემდეგ თამამათ შეგვიძლოთ მათი ახლა ტეხნიკურ სასწავლებელში მიყვანა...

ჩვენი დღევანდელი სახალხო განათლების წყების ცდაც, ვგონებ, სწორედ იქითკენ არის მიმართული, საითკენაც განსვენებული კრაპოტკინი მოუწოდებდა ქვეყანას და ამიტომ ჩვენც ყველამ უთუოდ მხარი უნდა დავუჭიროთ მას ჩვენი ძალით და შეგნებით, რადგანაც ამაშია, როგორც ვსთქვით, ჩვენი კარგი აწმყოც და მომავალიც.

ივ. რიხტომაშვილი.

*) ერთი ასეთი სასწავლებლის შესახებ 1902 წელს მე თითონ გამოვეცი წიგნი: „მეურნეობა და ახალი სკოლა“. ივ. რ.

# კორესპონდენცია

### წერილი ზუგდიდიდან

ამ უკანასკნელ 2 თვის განმავლობაში ზუგდიდის მაზრას ეწვია სამი სხვა და სხვა რწმუნე[illegible] განათლების კომისარიატისა—მაზრაში განათ. საქმის სარევიზიოდ.

პირველი იყო განათლების კომისარიატის საადმინისტრაციო ორგანიზაციული განყოფილების გამგე ე. მამულაიშვილი, მეორე—ტეხნიკუმთა ცენტრალური ინსტრუქტორი კვინიკაძე, ხოლო მესამე—შრომის სკოლათა მთავარ გამგის მოადგილე გ. ჭუმბურიძე.

პირველი აწარმოებდა უმთავრესად ადმინისტრატიული ნაწილის რევიზიას, იკვლევდა უმთავრესად მის ფორმალურ მხარეს და ამიტომაც მის რევიზიას მაინც და მაინც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა და სარგებლობა მაზრის საგანმანათლებლო დაწესებულებათათვის არ შეეძლო მოეტანა.

სულ სხვა იყო 2 უკანასკნელი რევიზია. აქ რევიზიას ჰქონდა ფრთხილი, კეთილსინდისიერი და პაციენტის მოყვარული ექიმის მიერ სწორი დიაგნოზის ძებნის ხასიათი.

# ფურცლები დღიურიდან

(გაგრძელება)

**28 თებერვალი 1907 წ.**

მე ჯერ ისევ პატარა ვიყავ, რომ შევიგრძნე ქართველი ხალხის ბუნება: ეს იყო მაშინ, როდესაც მე შევიყვარე ის, რაც მას უყვარდა... მას უყვარდა თავისუფლება ბრძოლით და ტანჯვით მოპოვებული!.. 16 წლისა არ ვიქნებოდი, რომ მე პირველად მომხვდა ყაზახის მწვავე მათრახი ცხენ და ცხენ გადმოკრული და სწორედ მაშინ ვიგრძნე მე რომ ქართველი ვიყავ: ამ ძალმომრეობამ აშალა მთელი ჩემი ბუნება, ააშფოთა ჩემი სული და ააჯანყა ჩემი გონება... დაბნელებულმა თვალებმა გადმოყარეს რამოდენიმე მწარე ცრემლი, მაგრამ ეს არ იყო ცრემლი სილაჩრის და სულიერ სისუსტისა,—არა, ეს იყო ნაპერწკლები იმ ცეცხლისა, რომელიც აენთო ჩემს სხეულში და მზად იყო ჩაენთქა მთელი ქვეყანა, ოღონდ მოესპო და გაენადგურებინა ყოველი უსამართლობა! მას აქეთ გავიდა ხანი და გამოიცვალა ბევრი რამ ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ უცვლელი დარჩა ჩემი ბუნება: მე ისევ ქართველი ვარ, ისევ მაშფოთებს ყოველი ძალმომრეობა და სადაც უნდა ვიყო მზადა ვარ მუდამ ვიბრძოლო უსამართლობის წინააღმდეგ და უკანასკნელი სისხლის წვეთები შევალიო თავისუფლებას...

. . . . . . .

ყოველ ხალხს ახასიათებს რომელიმე ძირითადი თვისება და ამ თვისებას ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა კაცობრიობის საერთო მომავალში ამ ხალხის ბედ-იღბალზედ: ეს მომავალი კი მოითხოვს ხალხთა გაერთიანებას. ამ თვალსაზრისით ესა თუ ის ხალხი იმდენად არის ღირსი პატივისცემის და სიყვარულისა, რამდენადაც მის მასაში გამჯდარია გრძნობა ძმური სიყვარულისა და პატივისცემისა სხვა ხალხებისადმი... რამდენადაც მასში ჩანერგილია კეთილი ინსტიკტები და კეთილი მისწრაფება მეზობელ ხალხთა მიმართ... მე ვიცი, რომ რუსი მეტად მომთმენი და სულ-გრძელია, მაგრამ შეგნებული არ არი; პოლონელი მეტად განათლებულია, აგრამ გულ-ფიცხი და ამპარტავანი; ფინი მეტად დინჯი და დაკვირვებულია, მაგრამ ზარმაცი და ულ-გრილი; ებრაელი მეტად ნიჭიერი და წინდახედული, მაგრამ მშიშარა და წვრილმანი; ინგლისელი—მტკიცე და ანგარიშიანი, მაგრამ გულ-ქვა და ცბიერი; ფრანგი—გონიერი და მამაცი, მაგრამ ქარაფშუტა; იტალიელი—მეტად მგრძნობიერი და ალტაცებული, მაგრამ გაუტანელი და უხასიათო; ამერიკელი—მედგარი და შეურყეველი, მაგრამ უგრძნობელი და უგულო... ასეთი ჭრელი მასალით კარგი შეჭამანდის მოხარშვა შეიძლება მხოლოდ კარგს ქოთანში და კარგს ცეცხლზედ... მხოლოდ მსოფლიო რევოლიუციას შეუძლიან დედამიწაზედ ამ ხალხების გადახალისება და გაერთიანება!.. მხოლოდ ის მოსპობს ყველა იმას, რაც უშლის ხალხების დაკავშირებას და მათ საერთო მომავალს!..

. . . . . . .

არც ერთი ხალხი დედა-მიწის ზურგზედ არ არის შემკული ისეთი ფერებით, როგორც ქართველი და დაჯილდოვებული ისეთი მდიდარი ბუნებით: ქართველი მეტათ მგრძნობიერი, კეთილი და მოსიყვარულეა; იგი იმდენად თავაზიანია, რომ ხშირად თავის თავსაც კი ივიწყებს სხვისთვის და სხვისთვის უფრო ზრუნავს ვიდრე თავის თავისთვის... და ეს ასეც უნდა იყოს, რადგან არც ერთს ხალხს არ განუცდია იმდენი უბედურება, რამდენიც ქართველს... არც ერთს ხალხს არ დაუღვრია იმდენი სისხლი თავის უფლებისთვის, კაცობრიობის საუკეთესო მომავლისთვის... ქართველი ხალხი არის მებრძოლი ხალხი... საქართველო ბრძოლის ველია... შორეულ წარსულშიაც კი ეს ხალხი იბრძოდა კაცობრიობისთვის მიუვალ მთებში მარტოდ-მარტო, როგორც გმირი ლეონიდე საბერძნეთისთვის მთის გასავალში!.. იგი ეტრფოდა და უგალობდა მთელს ქვეყანას და ქვეყნის გულშემატკივარი ხშირად ივიწყებდა თავის თავს სხვის საბედნიეროდ... იგი იყო მუდამ მებრძოლი და მომღერალი ხალხი, გულგახსნილი, სიყვარულით სავსე!..

. . . . . . .

ქართველი ხალხი მხოლოდ მაშინ დამშვიდდება და მაშინ იქნება ბედნიერი, როცა დედა-მიწის ზურგზედ არ იქნება არც ერთი ერი, თავისუფლებას მოკლებული! გარდა რამდენიმე გადაგვარებულ ბრწყინვალე საგვარეულოების, რომელნიც წარმოადგენენ უკანასკნელს ნაშთს ფეოდალურ ინტელიგენციის,—და დღეს ემსახურებიან თვითმპყრობელობის გამათახსირებელ პოლიტიკას,—ქართველი ხალხი წარმოადგენს ერთსულოვანს და მთლიანს სხეულს, რომელიც იბრძვის ეროვნულ თავისუფლებისათვის და გაჟღენთილია ერთი მისწრაფებით... მას აქვს ბრწყინვალე წარსული, მაგრამ მას არა აქვს აწმყო: იგი ცხოვრობს მხოლოდ მომავლით და მომავლისთვის... მომავალი კი მისი დიდია, დიდია იმიტომ, რომ იგი ეკუთვნის მთელ კაცობრიობას და მისი მომავალი—კაცობრიობის მომავალია!

. . . . . . .

საქართველოს მხატვრულად ახალგაზრდა და ლამაზ მანდილოსნად გამოჰსახავენ ხოლმე. ეს მხატვრული ფანტაზია სინამდვილეს არ შეეფერება. ვინც საქართველოს ე. ი. მისი ხალხის წარსული იცის, მისი ტანჯული ცხოვრება, განწირული სულის კვეთება და განუწყვეტელი ბრძოლა,—ვისაც ნათლად წარმოდგენილი აქვს ის, თუ როგორ იწოდა და იდაგებოდა ქართველი ერი კაცობრიობისათვის მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, ის დამეთანხმება იმაში, რომ ქართული ცხოვრების სინამდვილე სულ სხვა ნაირად უნდა იყოს წარმოდგენილი და მისი სურათი სწორედ ხალხის ცხოვრებიდგან უნდა იყოს ამოღებული. აი ნამდვილი სურათი ქართველი ხალხის ცხოვრებისა, მისი შინაარსი: „ხრუკია“... საკვირველი სახელია არა „ხრუკია“? რასაკვირველია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც თვითონ ამ სახელის პატრონი ხრუკია იყო საკვირველი მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში!

ვინ იყო ხრუკია! დანამდვილებით, თითქმის არავინ არ იცოდა, მაგრამ „ხრუკიას“ იცნობდა მთელი საქართველო. ხრუკიას სახელი არ იყო მარტო მისი საკუთარი სახელი, ის იყო გამომხატველი ისეთ საზოგადო მოვლენისა, რომელიც ქართველი ხალხისთვის ყველგან მშობლიური და საგულისხმო იყო. ხრუკიას სიმღერა, მისი ბაიათი განთქმული იყო ყველგან და არ იყო ქალაქი ან სოფელი, ძველი თუ ახალშენი, სადაც ხრუკია არ ენახად და მისი სიმღერა არ გაეგოთ. ხრუკიაზედ საზოგადოთ ბევრს ლაპარაკობდნენ; მისი პიროვნება განსაკუთრებული ყურადღებით და სიყვარულით იყო დაჯილდოვებული და ხალხში მის შესახებ ათასი ლეგენდები დადიოდა. მაგალითად, ამბობდენ, რომ ლეკების შემოსევის დროს, ხრუკია მორჩილად ყოფილიყო ერთ-ერთ მთის მონასტერში და მტრის მოახლოვების დროს საშინელი ზარის რეკვა აეტეხნა. განრისხებულს მტერს მონასტერი აეკლო და სამრეკლოსათვის ცეცხლი წაეკიდებინა. ზარების გრიალით გამოღვიძებულს ხალხს მოესწრო შეიარაღება და მომზადებული დაჰხვედროდა მტერს... ქურდულად ღამით შემოსეული მტერი გარიყრაჟზე დამარცხებული გარბოდა.. ზარების გრიალი მაინც არა სწყდებოდა და მათი შეშფოთებული და გამამფხიზლებელი ხმა შორს ეფინებოდა.

„გულ ამოვარდნილი, აშფოთებული წკრიალებდნენ წვრილის ხმით პატარა ზარები!..

„ოხრავდა მგრგვინვარე ბოხის ხმით ბოლმით სავსე და შეუწუხებული დიდი ზარი!..

„ძაგძაგებდა და თრთოდა ძირამდისინ შერყეული სამრეკლო!..

როდესაც გამარჯვებული ხალხი მონასტერს მიადგა, იგი უკვე აკლებული იყო და ცეცხლში იწოდა... ანთებულ სამრეკლოდგან ჩამოიტანეს ხელ-ფეხ დამწვარი და დახრუკული მორჩილი.

. . . . . . .

იმასაც ამბობდნენ, რომ მითომ ხრუკიას მეტის-მეტი ბოროტი დედი ნაცვალი ჰყავდა და იმან დაღუპა; რადგანაც მისი საკუთარი შვილი მახინჯი იყო და უმგზავსი დედი ნაცვალს ლამაზი გერი მეტად ეჯავრებოდა; დღითი-დღე ხრუკია იზრდებოდა და ძალიან გონიერი და ლამაზი ბავშვი დადგა... დედი ნაცვალი აივსო შურით და ძულვილით... და ერთხელ, ბავშვის ღრიალზედ მოცვივნილმა მეზობლებმა, გახურებულ თონიდგან ამოიღეს დახრუკული და ცოცხალ მკვდარი ბავშვი!.. კეთილ ანგელოზს ბავშვისთვის სახეზედ ტომი აეფარებინა და პირი-სახე გადაერჩინა; ხელ-ფეხი კი ცეცხლში დაჰსწოდა!.. შეიძლება ყველა ეს ხალხის გაზვიადებული ფანტაზია იყოს, სინამდვილეს მოკლებული; შეიძლება ის ნამდვილი „ხრუკია“ ცოცხალი არც კი იყო და არავის ენახა და მის სახელით ქართველს ხალხს სხვა ახალი ხრუკია გამოჰყავდა ცხოვრების ასპარესზედ, მაგრამ, ასე თუ ისე, ხალხს ძალიან უყვარდა ხრუკია და მეტად კარგად ეპყრობოდა მას. ჭირში თუ ლხინში, დღეობაში თუ ღამის თევაში, ხრუკია ყველგან საყვარელი და სასურველი სტუმარი იყო! რა იყო ამის მიზეზი? ალბად, ხრუკია, როგორც ცოცხალი სურათი ქართველი ხალხის საცოდაობისა, მსხვერპლი უდანაშაულო, მისი ცხოვრების მოუწყობლობისა და საზოგადო უზრუნველობისა,—მატარებელი იყო ყველა იმ ჭირ-ვარამისა რომელიც ხალხს თვითონ ვერ გამოუთქვამს და ღრმად გულში ჩაუმალნია! ხრუკიას სიმღერა, ხრუკიას ბაიათი, მისი სევდიანი და მკვნესარე ხმა,—იყო ის სამგლოვიარო მოთქმა, მწუხარებითა და ტკივილით სავსე, რომელიც ქართველი ერის გუ-

მათ ზოგიერთი სხვა „რევიზორებივით“, არ ახარებდა რაიმე ნაკლის პოვნა დაწესებულებებში; პირიქით, როცა სადმე საქმეს ცუდად დაყენებულს ნახავდენ, გულშემატკივარ ჭირისუფლის მწუხარებას განიცდიდენ. ხოლო რევიზიის შემდეგ მასწავლებლებთან გამართულ საუბრებს ჰქონდა არა მარტო დეფექტების აღნიშვნის ხასიათი, არამედ ეს იყო მეთოდიურ—დიდაქტიური და, საერთოდ, წმინდა პედაგოგიური შინაარსის რეფერატები—ავტორიტეტული რჩევა-დარიგებებით წრთვნა განათლების მუშაკებისა არსებული სკოლათა გასაჯანსაღებლად.

აი, სწორედ ამიტომ იყო, რომ მასწავლებლები უსაზღვრო კმაყოფილებას გამოხატავდნენ ამ რევიზიის შემდეგ, ენანებოდათ „ძვირფასი და საყვარელი სტუმრების“ (როგორც თვითონ უწოდებდენ), მოშორება და გულწრფელად სთხოვდენ მათ—უფრო ხშირად გვინახულეთო. გარდა იმისა რომ მოგვცემთ სასარგებლო დარიგებებს და ცოდნას, გაგვამხნევებთ სულიერად და გაგვიმრავალკეცებთ ენერგიასო.

დიახ, ჭეშმარიტად იშვიათი იყო ეს რევიზია თვისი უაღრესად პრაქტიკული და იდეური მნიშვნელობით.

ამხ. კვინიკაძემ დაათვალიერა მაზრაში არსებული ორი ტეხნიკუმი: სოფ. ხეთისა და ქალ. ზუგდიდის და საერთოდ, ვფიქრობ, გვარიანი შთაბეჭდილება მიიღო

იდეური მხარე—მოწაფეთა მომზადება ორთავე ტეხნიკუმში დამაკმაყოფილებლად სცნო. სასიქადულოდ მიიჩნია ის გარემოება, რომ ხეთის ჯერ სულ ახლად გახსნილს ტეხნიკუმს უკვე შეუძენია მდიდარი ფიზიკური კაბინეტი, საორკესტრო ინსტრუმენტები, სხვა მრავალი სასწავლო ხელსაწყოები და ბინაც მშვენიერი ორ სართულიანი ქვის შენობა აქვს, რაც აიხსნება საზოგადოების შეგნებით, განათლებისადმი დიდი სიყვარულით და ადგილობრივი სათემო ადმინისტრაციის უნარიანობით.

ქალ. ზუგდიდის ტეხნიკუმის შესახებ კი აღნიშნა, რომ მას არა აქვს შესაფერი ბინა, არ გააჩნია ფიზიკური კაბინეტი და არავითარი სასწავლო ხელსაწყობები. დაჟინებით მოითხოვა, რომ ეს დანაკლისები აუცილებლად იქნეს შევსებული მომავალ სასწავლო წლისათვის. მან ურჩია ადგილობრივ სამაზრო აღმასკომს დაუთმოს ტეხნიკუმს სასახლის ერთ-ერთ უმცროსი შენობა. ხოლო ფიზიკური კაბინეტისათვის საჭირო ხელსაწყოების შეძენაში თვითონ აღუთქვა დახმარება.

გ. ჭუმბურიძემ მოიარა მაზრის სხვა და სხვა კუთხეები და დაათვალიერა 25-მდე შრომის სკოლა. ბევრგან აღინშნა დეფექტები, რომელნიც შედეგია უმთავრესად გასული წლების არანორმალობისა და არსებული ობიექტიური პირობებისა, მაგრამ ზოგიერთ სკოლაში იგი პირდაპირ აღტაცებაში მოვიდა სწავლა-აღზრდის საქმის სამაგალითოდ დაყენებითა და მოწაფეთა მომზადებით. საერთოდ შთაბეჭდილება სრულიად დამაკმაყოფილებელი მიიღო.

ამხანაგმა ჭუმბურიძემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ორ გარემოებას; ერთი—რომ მაზრის მრავალ სკოლაში 4 ჯგუფს და 100—120-მდე მოწაფეს ასწავლის თითო მასწავლებელი.

ამხ. ჭუმბურიძე ფიქრობს, რომ კომისარიატი მიაქცევს ამ გარემოებას სათანადო ყურადღებას და მომავალ ენკენისთვიდან ზუგდიდის მაზრას გაუდიდებს მასწავლებელთა შტატს ისე, რომ მე-2 ჯგუფზე მეტი მაინც არ მოდიოდეს თვითო მასწავლებელზე.

მეორე ის—რომ 80-მდე მასწავლებელი მაზრაში სრულიად მოკლებული ყოფილა სპეციალურ პედაგოგიურ მომზადებას და, არამც თუ მოიწონა განათლების განყოფილების განზრახვა—ასეთ მასწავლებელთათვის ამ ზაფხულში მეთოდიურ-პრაქტიკული კურსების მოწყობის შესახებ,—წინადადებაც მისცა განყოფილებას—აუცილებლად გახსნას ასეთი კურსები.

მაზრის განათ. განყოფილების შუამდგომლობა ამ კურსებისთვის ცენტრიდან დახმარების აღმოჩენის შესახებ იმავე ჭუმბურიძის წყალობით, კომისარიატმა შეიწყნარა და აღუთქვა ლექტორების შენახვა სახაზინო ჯამაგირებით.

კურსები გაიხსნა ივლისის პირველ რიცხვებში და გასტანს 2 ნახ. თვეს. გარდა განყოფილების მიერ მოწვეულ უცენზო მასწავლებლებისა, კურსებზე მიიღებიან მსმენელად, ვისაც აქვს ცენზი არა ნაკლებ 8 წლიანი შრომის სკოლის დასრულებისა.

**ოდიშელი.**

# საქ. დამოუკიდებელ შინამრეწველთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოება

(გაგრძელება)

წინა წერილში პატივცემული „ტრიბუნის“ მკითხველები ნაწილობრივ გავაცანით „სამტრუდის“ პოზიციის საქმეთა საგმიროსა, ეხლა შეუდგეთ კიდევ მათ „ქებას“. რომ „სამტრუდის“ პოზიციას ეჯავრება ნამდვილი პატიოსანი მუშაკი და რომ ასეთებს ისენი კავშირიდან ერეკებიან, რათა ხელი არ შეუშალო პოზიციის ბოროტ-მოქმედებას, ამის დასამტკიცებლად მოვიყვან კიდევ ერთ პატარა საბუთს, რომელიც ბევრის მეტყველი იქნება; „სამტრუდის“ დაარსებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის სახ. კომისარიატს ტ განსაკუთრებით მის წარმომადგენელს ათაბეკოვ-თუმასს. ათაბეკოვი ისეთი გატაცებული იყო ამ საქმით, რომ თითქმის დღე და ღამ კავშირში მუშაობდა, ერთ ხანს, როდესაც კავშირის ბუჰგალტერი დაიჭირეს, მის საქმეებს ათაბეკოვი სრულიად უსასყიდლოდ ასრულებდა. ათაბეკოვი იმ დროს მუშაობდა კავშირში, როდესაც ამ კავშირს ყველა ალმაცერად უყურებდა. ეხლა, რასაკვირველია, მზამზარეულზე და ჯილდოთი ყველა იმუშავებს. ათაბეკოვის მოსყიდვა შეუძლებელი შეიქნა. გაჩაღდა მათ შორის ბრძოლა და მიუხედავად იმისა, რომ ათაბეკოვი იყო მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი სასტიკად დამარცხდა. რაღა თქმა უნდა, ათაბეკოვის ნაშრომი პოზიციამ წყალს გაატანა. მე ამ დროს ჯერ კარგად არ ვიყავი გაცნობილი კავშირის საქმეებს და არ ვიცოდი იქაური საიდუმლოება. ათაბეკოვი მე გამაცვნეს, როგორც სომხების ლიდერი, რომელნიც თითქო იმიტომ იბრძოდნენ, რადგან კავშირის სათავეში ქართველები ვისხედით და უნდოდათ თვით გაბატონება. რასაკმირველია მე ამამ ვერ შეურიგდებოდი, რადგან ჩვენ ვცხოვრობთ ჩვენს საკუთარ სახლში და როდესაც ვინმე ასეთი პრეტენზიას აცხადებს ნურას უკაცრავათ, თუ მას ვეტყვით: შორს ჩვენგან, უკან დაიხიეთ თქო! შეიძლება თვით ჩვენ ქართველებმა მივიყვანოთ ვინმე უცხო ტომელი სათავეში, თუ კი ღირსეული პიროვნება იქნება, მაგრამ, რაც შეეხება ბრძოლის გამოცხადებას, ამას, რასაკვირველია, ვერ შეურიგდებით, რადგან საქმეს კარგად არ ვიყავი გაცნობილი, ამიტომ ბრძოლაში მონაწილეობას არ ვღებულობდი და ნეიტრალიტეტი მეკავა მაშინვე, ამიტომ ყველას ნდობით ვსარგებლობდი, განსაკუთრებით მაფასებდა პოზიცია. თუ თანხმობას განვაცხადებდი, ყოველთვის და ყოველ კომისიაში ერთხმად მირჩევდნენ. სხვა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში რწმუნებულად დამნიშნეს, რედაქტორადაც ამირჩიეს, სათანადო თანხაც გადასდეს, მაგრამ, რადგამ იმ დროს სფეროები უნდობლად გვიცქეროდა, ამიტომ ნება არ დაგვრთეს და ამან შეაფერხა გაზეთის გამოცემა; საბჭოს წევრადაც ამირჩიეს, ქალაქის პრეზიდიუმში. ერთის სიტყვით, იმ დროს პოზიცია ძალიან ფასობდა.

მე რომ კარიერისტი და და ეგოისტი ვყოფილიყავი, რა მინდოდა მეტი! რათ გადავიმტერე ის ხალხი, რომელსაც საპატიო ადგილზე ვყავდი დაყენებული და ყოველივე ჩემს სიტყვას ანგარიშს უწევდნენ და ყურადღებით ისმენდნენ. რა დავინახე ამ პოზიციის თაღლითობა და ბორ.-მოქმედება, ჩემი ცდა იქით იყო მიმართული, რომ შემეგნებიებიოს პოზიციისათვის ის, რომ დღეს ვსცხოვრობ ესეთ ხანაში, როდესაც პირადი ინტერესები და ეგოიზმი მისაღები არ არის და საზოგადო საქმეს უნდა სამსახური კეთილსინდისიერად, ხოლო როდესაც ეს მათ ვერ შევაგნებიე, რასაკვირველია, გავილაშქრე მათ წინაალმდეგ. ამ დროს მე უკვე გავხდი თურმე უნიჭოც, უსაქმურიც და კონტრრევოლიუციონერიც, და დაიწყეს საზიზღარი ჯაშუშობა ჩემს წინაალმდეგ. ჩოდრიშვილს რაც უნდოდათ იმას ჩასჩიჩინებდნენ და შეიყვანეს შეცდომაში; ხომერიკთანაც ჭორიკანა დედაბრებივით მიჰქონდათ ათასი ჭორები, თითქო მე კონტრრევოლიუციონერი ვიყავი და ამასთანავე ზარმაცი და არ ვმუშაობდი კავშირში. დიაღ, მე იმ დროს მართლა არ ვმუშაობდი კავშირში, მაგრამ ეს იმიტომ კი არა, თითქოს მე მეზარებოდა მუშაობა, არამედ იმიტომ, რომ მათთან მუშაობა შეუძლებელი იყო.

დღეს მთელ ტფილისში დადის ხმები, რომ სამტრუდის კომიტეტი ხელოსნების ფულს სჭამსო. მე, როგორც კომიტეტის წევრი ეს ჩირქი არ მინდოდა მამცხებოდეს და აშკარად დავანახვე ყველას, რომ ასეთ კომიტეტთან მე არაფერი საერთო არა მაქვს, მაშასადამე, ვერავის შეუძლია სთქვას, რომ ჩლაიძე ხელოსნების ფულს სჭამსო. როდესაც ხომერიკმა მითხრა, რატომ არ მუშაობ შენზე საჩივარიაო, მე უპასუხე: მე დიდის სიამოვნებით ვიმუშავებ, თუ ესენი დაადგებიან ორგანიზაციის გაჯანსაღების თვალსაზრის მეთქი.

12 ივნისს საკლუბო კომისიის სხდომაზე კვლავ ამირჩიეს საკულტურო კომისიაში. 14 ივნისს დელეგატთა კრებაზე უკვე კვლავ დამტკიცდა, რომ მათთან მუშაობა შეუძლებელია, რადგან, მოგეხსენებათ მკითხველო, კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებს. ზევით ვსთქვი, რომ პოზიციამ თუ შეატყო ვინმე რო წინაალმდეგ ილაშქრებს, ისინი ჯერ ცდილობენ ისეთი პიროვნება მოქრთამონ როგორც მე, და თუ ვერ მოქრთამეს, დაუყოვნებლივ გააძევებენ კავშირიდან. სულ პირველად, როდესაც პოზიციის წინაალმდეგ გავილაშქრე და, რასაკვირველია, გაჯავრებული წაველი სახლში, მეორე დღეს, ვნახოთ, მოვიდა ჩემთან დელეგატი გიორგაძე და მითხრა: შენთან მოციქულად გამამგზავნესო.—ვინ გამოგაგზავნა, ან რის შესახებ?—ბადაევმა და ჩხეიძემო, რომლებმაც სთქვეს: ნუ თუ არ შეიძლება ჩვენ შორის საერთო ენის გამონახვაო. მე უთხარი: საერთო ენას მე იმათთან მაშინ გამოვნახამ, როდესაც იმათ მხარეს დავინახამ სიმართლეს და პატიოსნებას მეთქი. ამ საერთო ენისთვის გვაქვს კავშირი და იქ ვილაპარაკოთ ამ საგანზე მეთქი. და რაც შეეხება იმას, თუ ფიქრობთ ჩემს მოქრთამვას, ეს ყოვლად შეუძლებელი და წარმოუდგენელია, რადგან მე ისეთი კაცი არა ვარ, რომ ჩემს სვინდისს, პატიოსნებას, რწმენას და იდეალს ულალატო, და მით უმეტეს იმ ხალხს, რომელმაც მე ნდობა გამომიცხადა და ამირჩია თავის წარმომადგენლად მეთქი.

აი ამ დღიდან, როდესაც დარწმუნდნენ, რომ ჩემი მოქრთამვა შეუძლებელია, გადასწყვიტეს როგორმე დამაშორონ კავშირს, რადგან მე მათთვის საშიშ ძალას წარმოვადგენდი, რაშიაც ისინი სავსებით დარწმუნდნენ, პირველ მაისს, კლუბში, მაცადინობის დროს, როცა გამოირკვა რომ მთელი კავშირის სიმპატიები ჩემ მხარეზე იყო. ეს არ ესიამოვნათ ზემოხსენებულ პირებს.

პირველ წერილში შევჩერდი არჩევნებზე და ავხსენი, თუ რათ ვადასდვეს არჩევნები. აბა როგორ გაბედავდენ არჩევნების დანიშვნას მანამდე, სანამ ჩლაიძე კავშირში არის, რომელიც გაილაშქრებს პოზიციის წინაალმდეგ პოზიციის დასამარცხებელ მრავალ საბუთებით და რომელსაც მუშები ისე მიემხრობიან, როგორც პირველ მაისს. პირველ მაისის მიტინგზე, როდესაც ილაპარაკეს ბადაევმა, ჩხეიძემ და ჩოდრიშვილმა, და აღნიშნეს [illegible] ცალმხრივ, თუ ვინ რა ამაგი დასდვა ხელოსნებს და, რასაკვირველია, უპირველესად ერთმანეთი შეაქეს, ხოლო ჩემი შრომა [illegible]. მეც ხელოსნებს აუხსენი და უთხარი, რომ სხვათა შორის, თქვენს წინაშე [illegible] „ტრიბუნა“-ს რედაქციას მეთქი, რადგან იგი გამოგესარჩლა თქვენ და ათავსებდა წერილებს თქვენს შესახებ მეთქი მაშ გაუმარჯოს „ტრიბუნას“-მეთქი. ამისთვის გადამეკიდა ზოგიერთები, ერთხელ, კომიტეტის სხდომაზე, რომელზედაც დაესწრო ჩოდრიშვილი და მიროტაძე, ბადაევის თავხედობა იქამდე მივიდა, რომ ჩოდრიშვილს უთხრა: „აი თქვენ უნდა თვალყური ადევნოთ კავშირს, ალაგმოთ და თავის ადგილი უჩვენოთ ისეთ ელემენტებს, როგორც ზოგი უპასუხისმგებლო პირი გამოვიდა პირველ მაისსო“, ე. ი. მე. ამის შემდეგ მე დავრწმუნდი, რომ სწორი ყოფილა დღესაც, ამ რევოლიუციის ხანაში აკაკის სიტყვები: „მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო“.

ახლა პატივცემულ მკითხველებს ვაუწყებ, თუ რა მინდოდა მეთქვა დელეგატთა კრებაზე, 14 ივნისის სხდომაზე, სადაც ჩოდრიშვილმა სიტყვა არ მომცა და კრებიდან გაძევებაც მოისურვა ჩემი. დაე, პატივცემულმა მკითხველმა დასდოს მსჯავრი ყოველივე ამას, თუ სხვა არავინ მიაქცევს ყურადღებას ამ ჩემს განცხადებას. პირველი, საწევრო გადასახადის გადიდების შესახებ მინდოდა მეთქვა შემდეგი: წინაალმდეგი რასაკვირველია არ ვიყავი, საჭიროა თუ არა, რომ დელეგატთა კრებამ იცოდეს, სად მიდის და რაში იხარჯება მის მიერ გაღებული კარგა მოზრდილი თანხა, აქვს თუ არა დელეგატთა კრებას უფლება მოსთხოვოს კომიტეტს ანგარიში, და თუ აქვს, რატომ კომიტეტი აქნობამდე ანგარიშს არ უდგენს დელეგატთა კრებას? მეორე, აქვს თუ არა კავშირის თავმჯდომარეს უფლება, ისე ფანტოს კავშირის ფულები, როგორც თვითონ მოეპრიანება და არ დაეკითხოს პრეზიდიუმს? ამ რვა თვის განმავლობაში რა დაიხარჯა, ან სად წავიდა ის ფულები, რომლებიც ზღვასავით შედის კავშირში ოთხი სპეციალური აგენტების მიერ და, გარდა ამისა, მთავარი მოწმობებისაგან და პირობებისაგან შემოსული, არც პრეზიდიუმმა, არც კომიტეტმა, არც დელეგატთა კრებამ არ უწყის. უწყიან მხოლოდ ბადაევმა, ჩხეიძემ და სვანიძემ. თავმჯდომარე ჩხეიძე. როგორც ხაზეინი ისე გრძნობს იქ თავს და თავის სურვილით ხარჯავს. ამის შემდეგ მე შემიძლიან ვიფიქრო ასე თუ არა: მაგალითად, ჩხეიძემ იყიდა ერთი მილიონის საწერი ქაღალდი და, სიტყვის მასალისთვის ასე ვსთქვათ, ანგარიში წარადგინა ორი, ან სამი მილიონის, რადგან კომიტეტს და პრეზიდიუმს არც ნაყიდი ქაღალდი უნახავს და არც იცის მართლა იყიდა თუ არა. რატომ ხარჯავს თავმჯდომარე ასე თავის სურვილის მიხედვით ფულს, თუ ის პატიოსანი პიროვნებაა, რატომ არ ეკითხება პრეზიდიუმს? მესამე,—კავშირიდან ყოველ დღე გადის მრავალი სხვა და სხვა მოწმობები რასაკვირველია ფასით, სად მიდის ეს ფულები, რომელ პადვალში, ან სამიკიტნოებში იხარჯება? თუ ასე არ არის იმ ფულით რა კეთდება? მეოთხე.—არის კიდევ განსაკუთრებული შემთხვევა, როდესაც განსაკუთრებული დეკრეტები იწერება ხელოსნებზე, ამ დროს ხელოსნებს გააქვთ მოწმობები სათანადო დაწესებულებებში წარსადგენათ, რომ იგი არის კავშირ „სამტრუდის“ წევრი. ამ დროს მილიარდები შემოდის კავშირში, ან ეს ფული სად მიდის? საჭიროა, თუ არა ვიცოდეთ არამც თუ პრეზიდიუმის, კომიტეტის წევრებმაც და დელეგატებმა, არამედ უბრალო წევრსაც ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს ამაზე, თუარა და იცოდეს ეს? მე-5 არსებობს პრეზიდიუმი, მაგრამ თამვჯდომარე პრეზიდიუმის სხდომას არ იწვევს, ეს იმიტომ, რადგან პრეზიდიუმში სამი კაცი ოპოზიციონერები ვართ, პრეზიდიუმი შესდგება ხუთი კაცისაგან, მაშასადამე, მისი მოწვევა იქნება პოზიციის სიკვდილი. აი ამიტომ თავმჯდომარე პრეზიდიუმის სხდომებს არ ნიშნავს, რა უფლების ძალით სჩადის ამას ჩხეიძე. ნუ თუ საჭირო არ არის ასეთი თავმჯდომარის დაუყონებლივ გადაყენება ასეთი დიქტატორობისათვის და უზურპატორობისთვის?! ასეთ ელემენტს თვითმპყრობელობის დროსაც კი დასჯიდნენ თვით ბიუროკრატები, არამ თუ დღეს უნდა დასჯილ იქნეს მუშური უფლებების შელახვისთვის, რომ სხვა მზგავსმა პიროვნებამ ასეთი საქციელი ველარ გაბედოს. მეექვსე—როდესაც კავშირიდან სხვა და სხვა ანკეტები გადის ისინი საწყალ ხელოსნებს ეუბნებიან: ანკეტა აუცილებლად ჩვენ უნდა შევავსოთო და ახდევინებენ ამაში ხელოსნებს ფულს.

ეს ფული, რასაკვირველია, იმათ ჯიბეში მიჩხრიალებს, არის თუ არა დასაშვები ასეთი მოვლენა? მეშვიდე, კლუბი შანტანად გადააქციეს, არის თუ არა ეს მოსათმენი?! მერვე, დელეგატთა კრებამ ამ სამი თვის წინეთ დაადგინა-გამოსცეს გაზეთი' რომლის ხელმძღვანელობაც მე მომანდო.

* * *

ლიდგან ამოვარდნილიყო და რომელიც „ზარებით ტირილსა“ ჰგვანდა...

„გულ ამოვარდნილი, აშფოთებული წკრიალებდნენ წვრილის ხმით პატარა ზარები!..“

„ოხრავდა მგრგვინვარე ბოხის ხმით ბოღმით სავსე და შეწუხებული დიდი ზარი!..“

„ძაგძაგებდა და თრდოდა ძირამდისინ შერყეული სამრეკლო“!..

. . . . . . . . . .

როდესაც მე პირველად ხრუკია ვნახე, მან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზედ. განა ცოტა არის შემთხვევები დამწვარ-დამახინჯებულებისა გლეხის ოჯახში, სადაც დიდს და პატარას სული ამოსდით იმ მიწის დამუშავებაში, რომლის მოსავალსაც უფრო სხვები ჰმკიან, სადაც პაწკია ბავშვები უპატრონოდ რჩებიან და მთელი დღეები ძაღლების და ღორების ანაბარა არიან!? აქ გასაკვირველი არა არისრა და ამას გარდა ეს ყველამაც კარგად ვიცით... მაგრამ საქმე ამაში არ არი: ხრუკია თვითონაც, როგორც პიროვნება, შესანიშნავი იყო და გასაკვირველიც!..

წარმოიდგინეთ გამხდარი, შუა ტანის კაცი დაგლეჯილ ფარაჯაში და ქალამნებში, რომელნიც დამწვარს და გასაცოდავებულს სხეულს ჰფარავდნენ: დაკოტიტებული, ტაბიკის მზგავსი ფეხებით და დაგკლანჭულ და დახრუკულ ხელებით; წვრილ წელზედ მოუქნელი თასმის ქამრით და ზურგზედ აკიდებული გუდით; მაღალ და გახსნილ შუბლით ხშირი გაჭაღარებული თმით და დახურული წარბებით; დიდრონი ტ მეტად გონიერი თვალებით და პატარა ლამაზი პირით... ასეთი იყო ხრუკია გარეგან შეხედულობით; რაც შეეხება მის გამომეტყველებას და მისი შინაარსის გაგებას, ეს მხოლოდ მისი სიმღერის დროს შეიძლებოდა და მართლაც ნამდვილი „ხრუკია“ მხოლოდ მღერაში გამოჩნდებოდა ხოლმე.

დღესაც თვალ წინ მიდგას, როგორც ცოცხალი: კომბლით ხელში და ზურგზედ გუდა აკიდებული; კოტიტა ფეხები გან-განზედ გაუდგამს, კოხტა წელი უკან გადაუხრია, დახვლანჭული ხელები კომბლის წვერზედ ჩამოუკიდნია და თავ აღებული თავის გაბრწყინვებული თვალებით ხალხს ათვალიერებს... გარშემო ბავშვები შემოჰხვევიან: უალერსებენ, ეხუმრებიან; ისიც უცინით, ეხუმრებათ, უალერსებთ...

ერთბაშად ხრუკიამ ღრმად ამოისუნთქა და თავის გულ-მკერდი ისე აათამაშა, თითქოს მთელს ქვეყანას უნდა შეჭჯახებოდა! თავით ფეხებამდის შეირყა, აცახცახდა და სულ მთლად გამოიცვალა: გონიერ, ლამაზ თვალებში რაღაცამ გაუელვა და სახე ნთლად აენთო და გაუნათლდა... როდესაც ხრუკიამ თვალები დახუჭა და თავი დაუშვა ჰაერში გაისმა აღშფოთებული წკრიალი წვრილი ზარებისა და მათი გაბმული ზუზუნი შორს მოედო. ზუზუნი თან და თან მაგრდებოდა და სულ მაღლა მაღლა იწევდა და უეცრად გადაიქცა მძლავრ და მგრგვინვარე სიმღერად, სადაც აჩქარებულს და წკრიალა ძახილს ჰფარავდა შეწუხებული მოთქმა და სამგლოვიარო მოძახილი..., მღეროდა ხრუკია და გრძნობით სავსე მკვნესარე ხმით მოსთქვამდა თავის ღრმა წუხილს—ქვეყნის უბედურებაზედ... და მისი სიმღერა იყო ხმა ქართველი ერისა ყველა ერებისთვის გასაგები და სწორედ მის სიმღერაში გამოთქმული იყო უსიტყვოდ ის, რაც აწუხებდა და სტანჯავდა დაჩაგრულ ერებს!.. იქ იყო წუხილი და ჩივილი დაჩაგრულთა, ბოღმით სავსე, მოთმინებიდან გამოსული!..

გულ-ამოვარდნილი, აშფოთებული წკრიალებდნენ წვრილი ხმით პატარა ზარები!..

ოხრავდა მგრგვინვარე ბოხის ხმით ბოღმით სავსე და შეწუხებული დიდი ზარი!..

ძაგძაგებდა და თრთოდა ძირამდისინ შერყეული სამრეკლო!..

მე მაგონდებოდა შორეული წარსული; მაღალ მთის წვერზედ აღმართული მონასტერი; მაღალი თეთრი სამრეკლო და ზედ ახალგაზრდა მორჩილი. აბრიალებული ცეცხლის ალი ევლებოდა მის ფეხებს, უვლიდა მის ტანს და ედებოდა მის გაჭიმულს ხელებს. იწოდა და იდაგებოდა ცეცხლში თავგანწირული მორჩილი, მაგრამ ზარის რეკვას არა სწყვეტდა!. იწოდა ანთებული სამრეკლო... გრგვინავდნენ და გრიალებდნენ გახურებული ზარები!..

მე თვალ წინ მედგა მთელი საქართველო, თავისუფლების უძველესი რაინდი, ქვეყნისათვის თავგანწირული და შეწუხებული...

მისი სულით მძლავრი და სპეტაკი ერი, ქვეყნის გულ-შემატკივარი, კაცობრიობისათვის ანთებული!..

**გენო ყორჩიბაში.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებული გადასახადიც კი გააწერეს ხელოსნებს და შეჰქმნეს ას ორმოცდაათ მილიონიანი თანხა, ვით ფონდი და შემდეგისთვის ყოველივე დახმარება აღვითქვეს, ოღონდ გაზეთი გამოგვეშვა. იმ დროს ეს ფული გვარიანი თანხა იყო.

აი ასეთი წყურვილი იყო ხელოსნებში განათლების და განვითარებისა. ყოველ დღე თავს მაბეზრებდნენ: როდის გამოვა ჩვენი გაზეთიო? კომიტეტმა ეს ფული არ გაიღო და დელეგატთა კრების დადგენილება სისრულეში არ მოიყვანა. ჰქონდა თუ არა ამის უფლება მას და ამის შემდეგ საჭირო არის, თუ არა ასეთი კომიტეტის დაუყონებლივ გარეკვა, რომელიც აბუჩად იგდებს დელეგატთა კრებას და საერთოდ მთელ ხელოსნებს და ამავე დროს, მუშურის თვალსაზრისით, სოციალისტურ პრინციპებს. რასაკვირველია, ბადაევისთვის, ჩხეიძისთვის და სვანიძისთვის გაზეთის გამოშვება იქნებოდა მათი სიკვდილი, რადგან ყოველივე შემოსავალ-გასავალი დაწვრილებით იქნებოდა აღნიშნული გაზეთში, ასე, რომ გაზეთი კავშირის სარევიზიო ორგანო იქნებოდა და ფხიზელი დარაჯი ხელოსნების ინტერესებისა. როდესაც გაზეთის შესახებ კომიტეტში საკითხი დაისვა, ბადაევმა განაცხადა: თუ თქვენ გაიღებთ ფულს გაზეთისთვის, ხვალვე მოვიწვევ დელეგატთა კრებას და უარს ვაყოფიებ თავის დადგენილებაზედ, რას ნიშნავს ეს? ნუ თუ ბადაევს სჭირია დელეგატთა კრება. გაზეთის გამომცემლობისათვის მოიმიზეზეს თითქო ფული არ არისო მაგრამ დელეგატებმა განაცხადეს: სულ რომ არ იყოს ფული, უკანასკნელ გროშს გავიღებთ და გაზეთისთვის ვიშოვითო, ჩვენ ხელს არ ვახლებთ ამ შემთხვევაში თქვენს ფინანსებსო და ნება გვიბოძეთ გავიწეროთ ჩვენს თავზე განსაკუთრებული გადასახადი სპეციალურად გაზეთის ფონდის შესაქმნელადო. ამ მიზანისთვის მიუმატეს 50,000 მანეთი საწევრო წიგნაკებს, რაიც შეადგენს სულ 150.000.000 მანეთს.

ახლა თვით წარმოიდგინე, პატივცემულო მკითხველო, პოზიციის თავხედობა სადამდე მივიდა, რომ ეს ფულიც თვით დახარჯა და არ გაიღო დანიშნულებისამებრ. აი როგორ ელობებიან წინ ხელოსნებში სწავლა განათლების შეტანის საქმეს პოზიციის ვაჟბატონები! ჩხეიძე, ბადაევ-სვანიძისთვის, რასაკვირველია, ხელსაყრელია ხელოსნების სიბნელეში დატოვება, რომ უკეთ იჯირითონ მათზე, როგორც ახლა ჯირითობენ. დაწყებული „რემკუსტიდან", რომლის ასავალ დასავალი არავინ იცის სად გაჰქრა ეს რემკუსტის კოოპერატივი! ერთხელ, ჩხეიძემ რაღაც ქაღალდი მომცა და მითხრა: ხელი მოაწერეო.—რას შეეხება მეთქი.—არაფერია, მოაწერეთ. მაშ დაიცა, ვნახო, რა სწერია მეთქი.—იქო, მორცხვად სთქვა, კავშირის საჭიროებისთვის ვიქეიფეთ და მეზურნეებს ფული მივეცითო.

აი ამიტომ უნდათ სიბნელეში ამყოფონ ხელოსნები და თუ ვინმე შეცდომით მოხვდა კომიტეტში განათლებულ განვითარებული, ამიტომ გააგდებენ დაუყონებლივ ხოლმე.

სად იქეიფეს და როგორ, ამაზე დაწვრილებით საჭიროების დროს ვილაპარაკებთ.

დანარჩენ მათ ბოროტ მოქმედებაზე შემდეგ გვექნება საუბარი.

„სამტრულ"-ის პასუხის მგებელი მდივანი და ქალაქ ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა საბჭოს დეპუტატი **ვარლამ ჩლაიძე.**

## ხელოვნება

### კინო და ჩვენი ქვეყანა

დღეს ცხოვრების არც ერთი დარგი უყურადღებოთ არ რჩება და თუ საკმაო ყურადღება არ აქვს მიქცეული ამა თუ იმ საქმეს, ეს ობიექტიური პირობების ბრალია. აწ ჩვენში უფრო მეტი ყურადღება რომ მიეპყროს კინოს, ეს არ იქნება ნაჩქარევი და არც საზიანო სხვა საქმეებისათვის.

თითქოს ჩვეულებად გადაგვექცა სხვისი წინ არ გასწრება; თითქოს ყოველივე საქმე სხვამ უნდა დაიწყოს და შემდეგ ჩვენ გადმოვიტანოთ. ასე გამოდის თითქოს გვაკლია ინიციატივა, გამბედაობა და ახალი საქმის დაწყების და განვითარების უნარი. მე ვამბობ კინო ხელოვნების შესახებ.

საბჭოთა ქვეყნებში ყოველივე დარგს ეტყობა საგრძნობი აღდგენა; სააწუხაროდ ეს არ მომხდარა ჯერ ხანობით კინო წარმოებაში; ხოლო უკანასკნელ დროს ეს საქმეც არ დარჩა უყურადღებოდ და ამჟამად დიდი ცდა და მუშაობა არის მის აღდგენისათვის. ამაში დარწმუნდება ვინც კი თვალს ადევნებს მოსკოვის ჟურნალებს, რომლებიდანაც სჩანს ჯეროვანი ზომების მიღება, როგორც სპეციალ ისე სახელმწიფო ორგანოების მიერ. რუსეთს ჰყავს ძალიან ძლიერი და საკმაო ძალები კინო-მატოგრაფიაში. რუსეთის სურათებს ყოველთვის დიდი მოთხოვნილება ჰქონდა ბაზარზე და ეს იმიტომ რომ ისინი შინაარსით და იდეით უფრო ღრმა იყვნენ, ვიდრე სხვა ქვეყნის სურათები და ამასთან რუსეთის კინომატოგრაფიული ტეხნიკა არ ჩამორჩებოდა სხვებისას. მაგრამ ჩემი ამ წერილის მიზანს არ შეადგენს რუსეთის კინომატოგრაფის გაცნობა...

ვერავინ ბრალს ვერ დასდებს ჩვენს კინოსექციას უმოქმედებაში; პირიქით დიდ რუსეთთან შედარებით მან კიდევ მეტი უნარიანობა და აქტივობა გამოიჩინა; მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ამით დავკმაყოფილდეთ. ჩვენში ამ საქმეს აწ კრიტიკაც კი სჭირია და ეს ნიშანია იმისი, რომ ის საგრძნობი არის. თუ დღემდინ, უმეტეს შემთხვევებში, მისი მუშაობის დადებით მხარეებს უფრო ავლნიშნავდით, ვიდრე უარყოფითს, ეს ასეც იყო საჭირო, რადგანაც ყოველი ასეთი ახალი საქმე მოსაწონია და მასზე კარგის მეტი არაფერი ითქმის.

მაგრამ ამ პერიოდმა განვლო. სხვების წინ არ გასწრება (თუ კი შეგვიძლია, და შეგვიძლია კი) პარალელური სვლა, პროპორცია და წონასწორობის არ დაკარგვა, შეაფერხებენ ჩვენი კინომატოგრაფიის ბუნებრივ განვითარებას. მას შეუძლია მრავალ საბჭოთა ქვეყნებს წინ გაუსწროს, თუ კი დაბრკოლება არ შეხვდება.

მე აქ არ გამოუდგები იმის მტკიცებას, თუ რა შეუდარებელი ქვეყანაა ამ შემთხვევაში საქართველო; ამის შესახებ თქმულიც არის და ყველაც მიხვდება, ვისაც ცოტათი მაინც კი ესმის კინოხელოვნება. არც იმას ვიტყვი თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კინოს. ესეც ყველასათვის აშკარაა. ჩვენ ვხედავთ კინო-თეატრების კარებთან ყოველთვის აუარებელ საზოგადოებას. ჩვენი თეატრები სულდგმულობენ ევროპიულ და ამერიკულ სურათებით, რომლებიც მქადაგებელნია ბურჟუაზიულ იდეების და მსოფლმხედველობის. განახლებულ ქვეყანას ხელოვნებაც განახლებული სჭირია. დროშების და მიტინგების ეფექტები ველარ მოქმედებენ საზოგადოებაზე, ვერც ბროშიურები და პლაკატები გვიშველის. ყველა ამათს მხოლოდ გატაცება შეუძლია და ადამიანის ინტიმობაში ვერ იჭრება. ამგვარად: აუცილებელია კინოს აღდგენა. ეს ყველამ იცის, მაგრამ რა საშუალებით შეიძლება... აი ეს არის საქმე.

სახელმწიფო ღარიბია... მის ამა თუ დაწესებულებას თუ ორგანოს არ შეუძლია ათეული მილიარდები გადასდოს რამოდენიმე თვეებით, ჩვენში, რადგანაც არ გვაქვს ტეხნიკური და ფინანსიური შესაძლებლობანი, სურათის გათამაშება გრძელდება რამოდენიმე თვეები და თითქმის წელიწადიც. ცხადია, ამდენი ხნით კაპიტალის გაჩერება შეუძლებელია. ასეთ პირობებში აუცილებლად უნდა მივმართოთ კერძო კაპიტალს, მაგრამ კერძო კაპიტალი მხოლოდ მაშინ შემოვა, თუ მას გარანტიები ექნება. როგორც ქრონიკებში წავიკითხეთ ამერიკის ერთი რეჟისორი ფიქრობს „ლალატის"-ს გადაღებას; ამის შესახებ ავტორთან შეთანხმებაც ჰქონებია. მოსკოვის ჟურნალში (კინო № 1—5) მოთავსებულია კომერციულ აგენტ ამერიკელ ბარტონის შემდეგი სიტყვები: „ღმერთმა ნუ ჰქნას ჩვენმა კაპიტალმა გაიგოს თუ რა ჯადოსნური ქვეყანაა საქართველო... ის ჩაყლაპავს მას თავისი ფოლადის კბილებით". ჩაყლაპვის რა მოგახსენოთ—და მისი ასეთი მადით ჩვენ ბევრი შეგვიძლია ვისარგებლოდ.

ევროპა და ამერიკა ძალიან ეტანებიან აღმოსავლეთს. მათი საუკეთესო სურათები აზიის და სხვა ქვეყნის ახალშენების ცხოვრებიდან არიან. ეს ორი უაღრესად კულტურული ქვეყნები ამოწურულია ფაბულით და შინაარსით. ყველა ეს ამბობს იმას, რომ უცხო და კერძო კაპიტალი სიამოვნებით შემოვა აქ.

მაგრამ საქმეც ის არის, რომ მისი შემოსვლით ჩვენ მეტი უნდა ვისარგებლოთ მისგან, ვიდრე ის ჩვენგან.

თუ მიზანი არის კაპიტალის შეძენა, ჩვენი მიზანი უნდა იყოს კინო ხელოვნების კულტურის და ტეხნიკის შეძენა—შესწავლა.

არავინ იფიქროს, ერთად ერთი საშვალება იყოს უცხო თუ კერძე კაპიტალის შემოშვება... არა... ამ საქმის აღდგენა შინაგანი, სახელმწიფოს კაპიტალითაც შეიძლება, თუ კი მისი შესაფერი ორგანოები გაიღებენ საკმაო თანხებს, ან—და შესდგება სააქციონერო საზოგადოება, რა თქმა უნდა, საკმაო კაპიტალით.

ამ საშვალებით შეიძლება პირველად საქმე უფრო ნელი ტემპით წავიდეს, მაგრამ სამაგიეროდ, ჩვენთვის ის უფრო ხელსაყრელია; ერთი იმიტომ, რომ ის შექმნის ჩვენი ძალების კადრს. მეორედ, ჩვენი თანამემამულენი მრავალი გაიჩენენ ლუკმაპურის წყაროს, მესამედ, სურათები ჩვენს მოთხოვნილების და დამაკმაყოფილებელი იქნებიან და მეოთხეზე წმიდა კომერციული მოსაზრებით,—შემოსავალიც ჩვენ დაგვრჩება.

ჩვენ რომ გვყავდეს ძალები, დარწმუნებული ვარ უსახსრობა არც ასე შეგვიშლიდა ხელს.

ამ ძალების შექნას ყურადღება ესაჭიროება და მაქსიმუმი ენერგია უნდა გამოიჩინოს სახელმწიფომ. ჩვენ შეგვიძლია ამ მხრივ მოსკოვიდან ბევრი რამ შევიძინოთ. როგორც სტუდენტები გაიგზავნა უმაღლესი სწავლის მისაღებად, ასევე უნდა გაიგზავნოს ახალ-გაზრდები, რომლებსაც აქვთ ნიჭი კინო-ხელოვნებაში.

მე მრწამს, რომ ისინი ჩვენ გვეყოლებიან, მხოლოდ საჭიროა მათი გამონახვა. ამას თხოულობს სახელმწიფოს ინტერესი.

ჩვენთვის კინო ხელოვნება ახალი მოვლენაა. ის თავისი კინომატოგრაფიული სისწრაფით მიდის წინ და რომ მას დავეწიოთ, შევითვისოთ და მოვიხმაროთ, ჩვენ მისივე სისწრაფით უნდა დავედევნოთ მას. დანაშაულება იქნება, რომ მშობლიური ქვეყნის სიმდიდრე ამ სფეროში ვერ მოვიხმაროთ.

**იხინ.**

## წერილები რედაქციის მიმართ

მოქალაქე რედაქტორო! დიდ დამავალებთ, თუ ამ ჩემს მცირე განმარტებას ადგილს მისცემთ თქვენს გაზეთში.

6 ივლისს ნაძალადევის თეატრში ა. ფარნიევს წარმოუთქვამს სიტყვა, სადაც შეხებია ჩემს პატარა პიროვნებასაც. მას უთქვამს: თქვენ ალბათ გექნებათ წაკითხული გელეიშვილის და თევზაიას განცხადება. ეს ორი პიროვნება აცხადებს, რომ არავითარ პოლიტიკურ მოძრაობაში, მუშაობაში მონაწილეობას არ მივიღებთო. მე უნდა გითხრათ, რომ ეს გულწრფელი განცხადება არ არის. რუსულად რომ ვსთქვათ, „ეს ხდება „სცელიუ იზოლიროვატ სებია". ერთი სიტყვით შემოვიფარგლოთ თავი, ავიცილოთ თავიდან რამდენიმე არა სასიამოვნო მოვლენა და ამისათვის საკმარისია ხელი დავიბანოთ და განზედ დავდგეთო". (მომყავს „კომუნისტიდან") მე არ ვაქცევ არავითარ ყურადღებას იმ სხვა და სხვა ფერის ლაპარაკს, რომელსაც ადგილი ქონდა ამ ოთხი თვის განმავლობაში. ახლაც ასე მოვიქცეოდი, რომ ერთი გარემოებისთვის არ მიმექცია ყურადღება, სახელდობრ ა. ფარნიევი ჩემი თანამოაზრედ ითვლებოდა და ვინმეს ეგონება, რომ მე მასთან უკანასკნელ ხანებში საუბარი მქონდა და ამით მივეცი საშუალება, რომ ეს შეუფერებელი განცხადება გაეკეთებია. ნამდვილად კი ასეთ რამეს სრულებით არ ქონია ადგილი. ახლა არსებითად ა. ფარნიევმა იცის, რომ ჩემი და გელეიშვილის განცხადება სხვა და სხვა შინაარსისაა. ამის გაგებას დიდი „ინტელიგენტობა" არ უნდოდა. გელეიშვილს არ ესაჭიროება ჩემი დაცვა და ეს არც ჩემი საქმეა.

მაგრამ რაც შეეხება ა. ფარნიევის ჩარუსულებას „იზოლიაციის" შესახებ იმ მიზნით, რომ ხიფათი ამეცდინა თავიდან—ეს სასაცილოა, მე ხომ არ მითქვამს პატრიარქ ტიხონივით, რომ ავმა სულებმა შემაცდინეს, ეშმაკები შემიჯდენ და ათასი ბოროტება ჩამადენიესო. პატრიარქ ტიხონს შეიძლება დღესაც სწამდეს კუდიანების არსებობა, მე კი დიდი ხანია ეს თავიდან მოვიშორე. არც მითქვამს და ვერც ვიტყოდი, რომ მარქსის ცუდი თარგმანი ვიკითხე და ამით დავიღუპე მეთქი. ეს განცხადება, ჩემის მხრით, კომიკური იქნებოდა. საიდან მოიტანა ფარნიევმა, რომ მე გაურბი პასუხისმგებლობას? რომელმა ავმა სულმა ჩასჩურჩულა ეს მას? ან ეგებ ფარნიევსა გონია, რომ ჩემი დღევანდელ პოლიტიკურ მუშაობაზედ ხელის აღება პირველი მაგალითია ისტორიაში?

თუნდაც, ა. მარტინოვი ოთხი უკანასკნელ წელს სრულებით ჩამოშორებული იყო პრაკტიკულ მუშაობას. და თურმე თავის თავს ებრძოდა, როგორც თვითონ ამბობს და ის კი, ფარნიევის სიტყვით, ჩემისთანა პიროვნება კი არა—ფიგურაა. ან ეგებ ფარნიევს გონია, რომ ჩემთვის იდეოლოგიაც ერთნაირი პუდინგია, რომელსაც უხვად ამზადებენ ტფილისის რესტორნებში სხვა და სხვა ფიგურებში და მე თავისუფლად შემიძლიან ის ავარჩიო და ჩავიტკბილო? ეს მართლაც მიუღებელია ჩემთვის. ეგებ ფარნიევს სურს ჩემზედ გავლენა მოახდინოს მაგარი სიტყვებით და მაქმევინოს: პარიჟი ერთი წირვად ღირსო.

ასეთი სუსხი მუშტზედ უარესია. ეგებ ფარნიევმა არც ის იცის, რომ უკანასკნელ ოთხი თვის განმავლობაში თან და თან ვკიდებ წიგნებს ხელს და არ შემიძლიან ჯერ-ჯერობით რამე ნაირი სერიოზული მუშაობა. ესეც საიდუმლოებაა მისთვის? საერთოდ ერთხელ და სუმადამოდ ვაცხადებ ფარნიევის საყურადღებოდ, რომ მე ვიქცევი ყოველთვის ისე, როგორც ჩემი გონება მიკარნახებს. ამისთვის ბოდიშს არავის წინაშე არ ვიხდი, თუნდაც ეს არავინ ფარნიევიც იყოს, არც დაეკავება და არც მაგარი სიტყვები ჩემზედ არ მოქმედობს. მომავალშიაც იმ გზას ავირჩევ, რომელიც მომეწონება. ერთი კი ყოველ შემთხვევაში დარჩება ჩემი საქმიანობის ხელმძღვანელ მოტივად. მშრომელი ხალხის სამსახური იქნება.

ფარნიევი იტყვის—ეს მარქსიზმი არ არისო, თუნდაც შეუსწორებელი. ჯერ-ჯერობით მე არ შემიძლიან, ფიზიკა არ მაძლევს ნებას, რომ მარქსიზმზედ ვიმსჯელო. თუ ამის შესაძლებლობა მომეცა, შევეცდები ჩვენი მასწავლებლების ნაწერი გადავცე ხალხს. თუ ფარნიევი „კომუნისტურ მანიფესტის" ნიადაგზედ დგას, მეც ვცდილობ, რომ მარქს-ენგელსის ნაწერებზედ ვიდგე. დასასრულ ვიტყვი, რომ არ არის კარგი, როდესაც პიროვნებას ეგოისტურ მოტივებს აბრალებ, არ კითხულობ რაშია საქმე და ახდენ შთაბეჭდილებას მის წინაალმდეგ. ის კი არ არის შენთან, რომ პასუხი გაგცეს. იცოდეს ფარნიევმა, რომ ჩემს თავზედ, ოჯახზედ და მორთულ სადგომზედ მე არ მიზრუნია და არც ვზრუნავ. თუ დაიჯერებს—კარგი, თუ არა და—არც ამისთვის მოვიკლავ თავს, რადგანაც მე არც თავის მოკვლას ვაპირებ და მონანიებას არასდროს.

**ბიქტორ თევზაია.**

— —

**ამხ. რედაქტორო!**

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მე ვითვლებოდი საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიის წევრად. მას შემდეგ, რაც ეს პარტია ორ ნაწილად გაიყო, მე მივემხარე მემარცხენე ჯგუფს, თუმცა დღემდე აქტიური მონაწილეობა არ მიმიღია მის ყოველ დღიურ მუშაობაში, დღეიდან ვაცხადებ, რომ მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტია არის ნამდვილი დამცველი და მოსარჩლე, როგორც მშრომელი ხალხის ისე ჩაგრული ერების და მეც მინდა მთელი ჩემი ძალ-ღონით ვემსახურო ამ პარტიის დიად მიზანს.

ასოთ-ამწყობი: **იაკინთე ბენიაშვილი.**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

**დავკარგე** ბირჟის წიგნაკი და მოწმობა, რომ ვმსახურობდი საბინაო განყოფილებაში. გთხოვთ ჩასთვალოთ გაუქმებულად.
**ელენა მათეს ასული გლურჯიძისა.**
№ 434.

ზემო-ავჭალის ჰ. დრო ელსადგურის სამუშ ოთ.
საჭიროებისათვის
საჭირო გეოდეზიური ინსტრუმენტები:

1. თეოდოლიტი წ. . . . . . 1 ცალი
2. ნიველილი . . . 2 ცალი
3. საზომი რტყელა (ლენტი ფოლადის სარჭეებით) 2 ცალი
4 სანიველირო ლარტყა . . . 9 ცალი
5. კუთხსაზომი (გონიომეტრი) . . 2 ცალი

წინადადება მოწოდების შესახებ წარმოდგენილ იქნეს არა უგვიანეს 12 ივლისისა ზემო-ავჭალის ჰიდრო ელსადგურის სამუშაოთა უფროსის სახელზე.
ტფილისის ალმასკომის შენობა, ველიამინოვის ქუჩა № 3.
2—2 № 382.

## ამიერ-კავკასიის რკინის გზეზე მიმოსვლის ნუსხა

### ტფილისიდან გადის

| | |
|---|---|
| მატ. № 1 სწრაფი მოსკოვში შაბათობით | 1600 |
| მატ. № 1 სწრაფი პეტროგრ. პარასკეობ. | 1600 |
| მატ № 1 „ „ სამშაბათ. | 1600 |
| მატ. № 2 „ ბათუმში სამშაბათ. | 16.40 |
| მატ. № 3 როსტოვში ყოველდღე | 23.35 |
| მატ. № 3 კახეთში „ | 7.15 |
| მატ. № 4 ბათუმში „ | 8.05 |
| მატ. № 8 ბათუმში „ | 20.40 |
| მატ. № 20 ბორჯომში „ | 15.20 |
| მატ. № 21 ბაქოში „ | 11.25 |
| მატ. № 22 ბათუმში „ | 0.20 |
| მატ. № 3 ერევანში კენტი რიცხვში | 18.00 |
| მატ. № 35 კახეთში „ „ | 10.35 |
| მატ. № 31 ჯულფაში წყვილ რიცხვში | 23.00 |

### ტფილისში მოდის

| | |
|---|---|
| მატ. № 1 ბათუმიდან შაბათობით | 14.40 |
| მატ. № 2 მოსკოვიდან სამშაბათ. | 14.40 |
| მატ. № 2 პეტროგრადიდან ოთხშაბათ. | 15.30 |
| მატ. № 2 პეტროგრადიდან პარასკეობ. | 15.30 |
| მატ. № 3 ბათუმიდან ყოველდღე | 22.15 |
| მატ. № 4 როსტოვიდან „ | 6.35 |
| მატ. № 4 კახეთიდან „ | 21.50 |
| მატ. № 7 ბათუმიდან „ | 8.50 |
| მატ. № 19 ბორჯომიდან „ | 8.00 |
| მატ. № 21 ბათუმიდან „ | 4.20 |
| მატ. № 22 ბაქოდან „ | 14.50 |
| მატ. № 4 ერევნიდან წყვილ რიცხვში | 10.20 |
| მატ. № 3 კახეთიდან „ „ | 18.45 |
| მატ. № 34 ჯულფიდან კენტ რიცხვში | 18.15 |

### საგარაკო

| | |
|---|---|
| მატ. № 18 ბორჯომში კვირაობით | 7.10 |
| მატ. № 16 ხაშურში შაბათობით და უქმის წინადღით . . . . | 1.55 |
| მატ. № 17 ბორჯომიდან კვირაობით | 11.20 |
| მატ. № 15 ხაშურიდან კვირაობით და უქმის წინადღით. . . | 5.10 |

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ № 449 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა"-სი, ...ის ქუჩ. №. 4